კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ეთერი ხანჯალიაშვილი

ნატოსა და ეუთოს მიერ ასიმეტრიული საფრთხეებისგან ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა: შესაძლებლობები და გამოწვევები

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოებაში სოციალური მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი-2020

ანოტაცია

21-ე საუკუნეში ფუნდამენტურად შეიცვალა გლობალური უსაფრთხოების გარემო, რაც გამოწვეული იქნა ახალი ტიპის საფრთხეების გაჩენისა თუ ძველი საფრთხეების გლობალიზაციის სპექტრში გაანალიზებით. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ასიმეტრიული საფრთხეები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების უკვე არსებულ აღქმას რადიკალურად ცვლიან და საჭიროებენ საერთაშორისო გარემოს მიერ ახლებურ მოქმედებას, ვიდრე ეს ხდებოდა მანამდე. გარდა ამისა, ასიმეტრიული საფრთხეები იმდენად სწრაფად იზრდება, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, გარკვეულ წილად, უჭირს მათთან გამკლავების გზების დროული აღმოჩენა.

ისეთი სახელმწიფოებიც კი, როგორებიც არიან ევროპის დემოკრატიული ქვეყნები, უდიდეს პრობლემას აწყდებიან ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში.

იმის ფონზე, რომ, ზოგჯერ, საკმაოდ რთულია, განსაზღვრო სად გადის „წვრილი წითელი ხაზი“ ეროვნულ და გლობალურ ინტერესებს შორის, ყველა თანხმდება, რომ ასიმეტრიული საფრთხეები წარმოადგენენ ისეთი სახის გამოწვევებს, რომელთან გამკლავებაც ინდივიდუალურად თითქმის შეუძლებელია და ამ კუთხით განსაკუთრებული როლი ენიჭებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს. სწორედ, ამიტომ, ტერორიზმსა და კიბერ თავდასხმებთან ბრძოლა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ნატოსა და ეუთოს სტრატეგიებში.

ნაშრომი, შეეხება ამგვარი საფრთხეების სპეციფიკურობას. მათთან ბრძოლის უკვე არსებულ გამოცდილებასა თუ სამომავლო გამოწვევებს. ასევე, განხილული იქნება ნატოსა და ეუთოს შესაძლებლობები ასიმეტრიული საფრთხეებისგან ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ის დაბრკოლებები, რომელთაც ისინი ხვდებიან ამ გზაზე.

Annotation

Ensuring European Security from Asymmetric Threats by NATO and OSCE: Capabilities and Challenges

Global security environment has fundamentally changed in 21th century that was caused by appearing new types of threats or reanalyzing old threats with respect to globalization. Among them asymmetric threats took the special attention, which radically changed already existed perception toward warfare and demanded different tactics from international society than it was before.

On the other hand asymmetric threats are growing so rapidly, that states are unable to find relevant solutions on time. Even such states as European democratic republics, are facing a huge hassle in fighting against them.

According to the fact, that sometimes it is very difficult to determine where the "red thin line" goes between national and global interests, everybody agrees, that asymmetric threats belong to challenges, which are almost unable to deal with individually. That is why international organizations took on a special role. For this reason, fight against terrorism and cyber-attacks have a pivotal role in OSCE and NATO strategies.

This paper aims to identify the specificity of these threats, analysis already existed experience on fighting against them and define future challenges. There will be also discussed capabilities of OSCE and NATO with regard to defending European security from asymmetric threats and obstacles that they should overcome on this way.

Eteri Khanjaliashvili

სარჩევი

ანოტაცია……...…….2

Annotation…….…….3

შესავალი……..…..5

თავი I. ასიმეტრიული საფრთხეების მნიშვნელობა გლობალიზაციის სპექტრში და მისი გავლენა ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე…….12

1.1. ასიმეტრიული საფრთხეების არსი, კლასიფიკაცია და აქტუალურობა…….....14

1.2. ასიმეტრიული ომის მორალური განზომილება და კონვენციური ძალების ეფექტიანობა.....24

1.3. ასიმეტრიული საფრთხეების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმები……...……..29

თავი II. ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის დამაბრკოლებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ინსტიტუციური გამოწვევები ეუთოსა და ნატოში……...…….36

2.1. ეროვნულ-პოლიტიკური ფაქტორები ნატოს წევრი ქვეყნებისთვის ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში-მეტოქეობა თუ თანამშრომლობა?!.....37

2.2. ეუთოს კომპეტენცია ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში და ინსტიტუციური გამოწვევები…….……42

თავი III. ეუთოსა და ნატოს როლი ასიმეტრიული საფრთხეების აღკვეთის საქმეში და მათ ხელთ არსებული ბერკეტები ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად…….48

3.1. ნატოს სტრატეგია ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში.....49

3.2. ასიმეტრიული საფრთხეების აღქმა ეუთოში და მისი გამოცდილება……..……55

3.3. ეუთოსა და ნატოს თანამშრომლობა ევროატლანტიკურ სივრცეში ასიმეტრიული საფრთხეების აღკვეთის მიზნით……..……..59

დასკვნა.....65

გამოყენებული ლიტერატურა.....68

შესავალი

უახლოეს პერიოდში შექმნილმა მოვლენებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ევროპა და მთლიანად მსოფლიო. კონფლიქტები გადავიდა ახალ განზომილებაში და ახალ სივრცეში. სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ომებს, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, დაემატა კიბერ სივრცე, რამაც ახალი თაობის ომში ჩართო საერთაშორისო აქტორები.

დღეს არსებული მეოთხე თაობის ომებისთვის დამახასიათებელია საზღვრების მოშლა სახელმწიფოებს შორის, ასევე სამხედროებისა და სამოქალაქო პირებს შორის განმასხვავებელი ნიშნების მკვეთრი გაქრობა. შესაბამისად, წარმოიშვა ახალი, არაკონვენციური საფრთხეები, რომელთან გამკლავებაც ეუთოსა და ნატოს ამოცანას წარმოადგენს. ახალი საფრთხეები კი ახლებურად მოქმედებას საჭიროებენ.

თემის აქტუალობა - ასიმეტრიული საფრთხეები დღითი დღე იზრდება და მასთან გამკლავება არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს დღის წესრიგში დგას. დღეს ევროპის უსაფრთხოების ორგანიზაციების წინაშე მდგარი გამოწვევებიდან, სწორედ, ამგვარი საფრთხეები არის ყველაზე აქტუალური, ვინაიდან, მათთან ბრძოლის საყოველთაოდ აღიარებული გზები ჯერაც არ არსებობს. ერთი, რაც ტერორიზმმა და კიბერ თავდასხმებმა დაანახა საზოგადოებას გახლავთ ის, რომ, აუცილებელია, უფრო მეტი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის არსებობა, ასევე ინფორმაციის გაცვლა, როგორც ორგანიზაციებს, ისე სახელმწიფოებს შორის.

საფრთხეების დივერსიფიკაციამ ასევე აჩვენა, რომ უსაფრთხოებისადმი მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონვენციური ძალების მისიებით. ამიტომ, როგორც თავად უსაფრთხოების ორგანიზაციებიც აღიარებენ, საჭიროა ამ გამოწვევების შესაბამისად ტრანსფორმაცია და უკვე არსებული გამოცდილების გადახედვა,

შესაძლებლობებისა თუ შეცდომების გაანალიზება და სამომავლო აქტივობებში გათვალისწინება.

ნაშრომის მიზნები:

- ასიმეტრიული საფრთხეების გაანალიზება გლობალიზაციის სპექტრში;
- ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის მისი აქტუალურობის წარმოჩენა;
- ეუთოსა და ნატოს წინაშე მდგარი აქტუალური ასიმეტრიული პრობლემების, განსაკუთრებით კი ტერორიზმისა და კიბერ თავდასხმების შეფასება;
- ეუთოსა და ნატოში არსებული გამოწვევების წარმოჩენა ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში;
- ტერორიზმთან და კიბერ თავდასხმებთან ბრძოლის უკვე არსებული პრაქტიკის გაანალიზება და ამის ფონზე ახალი გამოწვევების წარმოჩენა.

ნაშრომის ამოცანები:

- ევროპასა და მსოფლიოში შექმნილი საფრთხეების ადეკვატური შეფასება;
- ასიმეტრიული საფრთხეების შესახებ უკვე არსებული ანალიზის შესწავლა და ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში მათი გაანალიზება.
- ისტორიული მოვლენების ობიექტური ანალიზი.
- ეუთოსა და ნატოს სტრატეგიების შესწავლა ასიმეტრიული საფრთხეების მიმართ.
- ეუთოსა და ნატოს თანამშრომლობისა და მათი ეფექტიანობის შეფასება ტერორიზმისა და კიბერ თავდასხმების აღკვეთის მიზნით.

საკვლევი კითხვები:

1) რას წარმოადგენს ასიმეტრიული საფრთხეები და რატომ გახდა მათთან ბრძოლა დღეს აქტუალური?
2) რა დაბრკოლებები წარმოიქმნება სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ტერორიზმთან და კიბერ თავდასხმებთან ბრძოლის პროცესში?

3) რა გამოწვევები არსებობს ნატოსა და ეუთოსთვის ასიმეტრიული საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში?
4) როგორი ბერკეტები გააჩნიათ ეუთოსა და ნატოს დღეს ასიმეტრიული საფრთხეებისგან ევროპის დასაცავად?

ჰიპოთეზა: ასიმეტრიული საფრთხეები თანამედროვე მსოფლიოში დღითი დღე იზრდება და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას საჭიროებს. ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასიმეტრიული საფრთხეებისგან დაცვა კი, მათი ხასიათიდან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეულ წილად ეუთოსა და ნატოს რეორგანიზაციას და მისი გამოწვევების შესაბამისად მოქმედებას.

კვლევის საგანი: ასიმეტრიული საფრთხეები, კერძოდ ტერორიზმი და კიბერ თავდასხმები და მათი გავლენა ევროპაზე.

კვლევის ობიექტი: ეუთო და ნატო და მათი ბერკეტები.

კვლევის მეთოდოლოგია:

- **სუპრანაციონალიზმი** გახლავთ ერი-სახელმწიფოების გაერთიანების პროცესი ერთ ორგანიზაციაში ან ალიანსში. მის თანახმად, ასეთი ტიპის გაერთიანებები იქნება იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ იმ კულტურული, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნების მიღწევა, რასაც ინდივიდუალურად ვერ შეძლებდნენ. სუპრანაციონალური ორგანიზაციები ეფუძნებიან გლობალიზაციის იდეას, რაც, მათი აზრით, სახელმწიფოებს ერთმანეთთან ინტერაქციის მეტ საშუალებას აძლევს.
- **პოლიტიკური რეალიზმის თეორია** დასაბამს იღებს ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში თუკიდიდედან მოყოლებული და ედვარდ ქარის, ჰანს მორგენთაუსა თუ ნიკოლო მაკიაველის ნაშრომებში გაგრძელებული. მის მიხედვით, საკუთარი უსაფრთხოებაზე ზრუნვის გამო, სახელმწიფოები არიან ეგოისტური რაციონალური აქტორები, რომლებიც ისწრაფვიან ძალაუფლებისკენ. შესაბამისად, მათ შორის არსებობს მკაცრი კონკურენცია, რაც ხელს უშლით თანამშრომლობაში. ამასთანავე, თითოეულ

სახელმწიფოს აქვს სურვილი იყოს ძლიერი სამხედრო ძალა, რადგან ეს არის საუკეთესო გზა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება საშიშ გარემოში.

- **ძალთა ბალანსის თეორია** მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან გამომდინარეობს. იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. სახელმწიფოები თავიანთი სურვილით აყალიბებენ კავშირს, რომელიც იცავს თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ამასთან, არ არის მათი უფლებების შემლახველი. ისინი ერთად მოქმედებენ საერთო საფრთხის წინააღმდეგ. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემა დაყოფილია სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი არის მშვიდობისა და წესრიგის მთავარი გარანტია საერთაშორისო სისტემაში,
- **ურთიერთდამოკიდებულების თეორიის** თანახმად, სახელმწიფოებს შორის გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება ამცირებს ერთმანეთის საპირისპიროდ კონფლიქტში ჩართვის შესაძლებლობას. ამის სანაცვლოდ, მათ უბიძგებს უფრო ფართო თანამშრომლობისაკენ. შესაბამისად, სამხედრო ძალის როლი სუსტდება და ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება. მისი მომხრეების აზრით, მოდერნიზაცია და გლობალიზაცია წარმოადგენენ ხელშემწყობი პროცესებს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდისთვის.
- **თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორიის** მიხედვით ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშრომლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. თუმცა, მათი აზრით, ყველზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი

ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ. სახელმწიფოებს თანამშრომლობისაკენ უბიძგებთ გარკვეული საფრთხეების გლობალიზაცია, რომელთანაც ინდივიდუალურად უძლურნი არიან და ამიტომ აყალიბებენ საერთო კავშირებს.

- **Prospect Theory-** აღნიშნული თეორია ეფუძნება იმ აზრს, რომ პოლიტიკოსებს გადაწყვეტილების მიღება უწევთ გარკვეული რისკის არსებობის პირობებში და ისინი განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ, როდესაც დგანან შესაძლო დანაკარგისა და მოგების წინაშე. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ ნაკლები დანაკარგის პირობებში.

კვლევის მეთოდები:

1. თვისებრივი:
   1.1. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების თვისებრივი შესწავლა;
   1.2. „შემთხვევის შესწავლა“(case study);
   1.3. ისტორიული პროცესების შედარებითი ანალიზი.
   1.4. არსებული ლიტერატურის ანალიზი.
2. რაოდენობრივი:
   2.1. კონტენტ ანალიზი

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: აღნიშნული კვლევა შესაძლოა შემდგომში გამოყენებული იქნეს უფღო ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევისთვის ვინაიდან ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები და გამოწვევები დღითი დღე აქტუალური ხდება და ახალი გარემოებების დადგომა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ამ თემისადმი ინტერესის გაჩენას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: იგი შესაძლოა გამოყენებული იქნას სალექციო კურსისათვის დამხმარე მასალად.

სამეცნიერი ლიტერატური მიმოხილვა:

1. **Areguin-Toft Ivan.** ***How The Weak Win Wars: A Theory of Asymmetric Conflict.*** **New York: Cambridge University Press, 2005**-აღნიშნულ წიგნში ავტორი აანალიზებს 2 საუკუნის განმავლობაში მომხდარ კონფლიქტებს ისტორიული და სტატისტიკური თვალსაზრისით, რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეთა ერთგვარი სტრატეგიული მიდგომები ხელსაყრელი გახლავთ ძლიერი აქტორისათვის, განსხვავებული სტრატეგიების არსებობისას კი სუსტს აქვს უპირატესობა. ამ წიგნში არეგუინ ტოფთი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება იმაში, რომ, როდესაც ასიმეტრიულ კონფლიქტში ერთმანეთს უპირისპირდებიან სუსტი და ძლიერი მხარეები სტრატეგიას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ფიზიკურ ძალას.
2. **განსერი ჰელმუტ ვ, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული,** ***რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?*** **, თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018**- ნაშრომი საკმაოდ კრიტიკულად განიხილავს ნატოს როლსა და მისიებს თანამედროვე მსოფლიოში. ავტორები აანალიზებენ როგორც ორგანიზაციის შიგნით არსებულ პრობლემებს, ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოშობილ გამოწვევებს. Case study-ის მეთოდის გამოყენებით აკეთებენ ადეკვატურ დასკვნებს მისი მისიების როლზე და შესაძლებლობებზე სხვადასხვა საფრთხეების აღკვეთის მიზნით.
3. **Buffaloe David.** ***Defining Asymmetric Warfare.*** **Arlington,Virjinia: The Association of the United States Army, 2006**- ამ ნაშრომში ავტორი იყენებს ისოტირული ანალიზის მეთოდს და წარმოაჩენს ასიმეტრიული საფრთხეებისადმი საზოგადოების აღქმის განვითარებას: თუ როგორ არის წარმოშენილი იგი სამეცნიერო ნაშრომებში, ოფიციალურ დოკუმენტებში, და ასევე აანალიზებს სხვადასხვა შეხედულებებს ასიმეტრიული ომის რაობის შესახებ.
4. **Organization for security and co-operation in Europe ,** ***"The OSCE and contemporary security challenges: A collection of essays,"*** **Mission to Serbia, 2016-**

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს იმ მაგისტრებისა და დოქტორების ნაშრომების კრებულს, რომლებიც სწავლობდნენ სერბეთში ეუთოს მისიის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში. მასში შესულია 10 საუკეთესო ნაშრომი, რომლებიც შეეხება თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებს, როგორიცაა ტერორიზმი, კიბერ ომი და სხვ.

თავი I. ასიმეტრიული საფრთხეების მნიშვნელობა გლობალიზაციის სპექტრში და მისი გავლენა ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე

მსოფლიოში, სადაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია კომპლექსურობა და საფრთხეების დივერისიფიკაცია უამრავი მიმართულებით. გლობალიზაციის პირობებში კი, მათი რიცხვი გეომეტრიული სიხშირით იზრდება და უფრო რთულდება საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, თუ რას წარმოადგენს საფრთხე? ოქსფორდის ლექსიკონის ერთ-ერთი განმარტებით, იგი არის რაიმე დაბრკოლების, საშიშროების, კატასტოფის ან ზოგადად უბედურების დადგომის შესაძლებლობა.[1] ხოლო, ასიმეტრიულობა იმავე ლექსიკონით აღნიშნავს უთანასწორობას.[2] თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოებზე ეს განმარტებები ზედმეტად ზოგადია, ვინაიდან საფრთხის მნიშვნელობა და რაობა იცვლება სახელმწიფოთა ინტერესებიდან გამომდინარე. ხოლო ასიმეტრიულობა კი იმაში გამოიხატება, რომ იგი იმდენად ბუნდოვან საფრთხეებს მოიცავს, რომელთა მსგავსი პრეცენდენტი წარსულ გამოცდილებაში რთული საპოვნია და რომც არსებობდეს იგი, რაიმე კანონზომიერების დადგენა და მომავალში მისი წინასწარი პროგნოზი თითქმის შეუძლებელია.

ასიმეტრიულ საფრთხეებსა და საომარ მოქმედებებზე საუბრისას, ხშირად აღწერენ ხოლმე მას, როგორც დაბალი-ინტენსივობის კონფლიტს, მეოთხე თაობის საომარ მოქმედებებს, არარეგულარულ ან არატრადიციულ ომს, თუმცა მისი ზუსტი და საყოველთაო განმარტების პოვნა დღესაც რთულია, რადგან სხვადასხვა მეცნიერები განსხვავებულად ახასიათებენ მას.

---

[1] Oxford Learner's Dictionaries, (Accessed April 9, 2020) P.1.
https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/threat?q=threat
[2] Oxford Learner's Dictionaries, P.1. (Accessed April 9, 2020)
https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/asymmetric?q=asymmetric

პირველად ეს ტერმინი ამერიკის სახელმწიფო დოკუმენტებში 1995 წელს გამოჩნდა, თუმცა სტეფან მეტსისა და დუგლას ჯონსონის განმარტებით, იგი გამოყენებული იქნა ძალზედ შეზღუდული და ვიწრო გაგებით. სიტყვა ასიმეტრიულობა, უბრალოდ, ხაზს უსვამდა განსხვავებული ძალების ჩართულობას საბრძოლო მოქმედებებში, როგორც მაგალითად საჰაერო ძალები სახმელეთოს წინააღმდეგ და პირიქით.[3]

მას შემდეგ, მრავალი მცდელობა არსებობს ასიმეტრიული საფრთხეების უკეთ და სრულყოფილად განმარტებისათვის. 1999 წელს, კვლავ, ამერიკაში ახლებურად იქნა განმარტებული ასიმეტრიული მიდგომის ცნება დოკუმენტში Joint Strategic Review". მასში აღნიშნულ გახლდათ, რომ საბრძოლო მოქმედებების ასიმეტრიულობა, ძირითადად, გამოიხატება იმაში, რომ მისი მიზანია ოპონენტზე ისეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა, როგორიცაა შოკი ან დაბნეულობა, რაც განაპირობებს მოწინააღმდეგის არაეფექტურობას, მოქმედებების შეზღუდვას ან უბრალოდ ბრძოლის სურვილის გაქრობას. ხშირად ასიმეტრიულ კონფლიქტებში იყენებენ არატრადიციულ ტაქტიკას, იარაღს ან ტექნოლოგიებს და ამასთანავე, იგი გამოიყენება ყველა დონეზე იქნება ეს სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური.

როგორც წესი, ასიმეტრიულ საომარ მოქმედებებს მიმართავენ ხოლმე თავის მოწინააღმდეგესთან შედარებით სუსტი აქტორები, ვინაიდან, ამით ცდილობენ ძალთა უთანასწორობის კომპენსირებას. ისინი, როგორც წესი, თავის სიძლიერეს იყენებენ მოწინააღმდეგის სისუსტეზე იერიშის მისატანად და ამით მათი ძალების დემორალიზირების მოსახდენად. ასიმეტრიული საფრთხეების ამგვარი ბუნებიდან გამომდინარე, ივან არეგუინ-ტოფტმა თავის წიგნს ასიმეტრიული კონფლიქტების თეორიასთან დაკავშირებით უწოდა შემდეგნაირად: „როგორ იგებენ ომემს სუსტები: ასიმეტრიული კონფლიქტის თეორია", სადაც ნათლად უსვამს ხაზს მის ზემოთაღნიშნულ მახასიათებელს.

[3] David L. Buffaloe, *Defining Asymmetric Warfare* (Arlington,Virjinia: The Association of the United States Army, 2006) , P. 3.

თუმცა, იმის თქმა, რომ მას მხოლოდ სუსტი აქტორები იყენებენ, რა თქმა უნდა, არ იქნება მართებული და საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებიც ხშირად მიმართავენ მას. მაგრამ,რამდენად ჯდება ეს სამართლისა თუ მორალის ნორმების ფარგლებში ამას ცალკე განვიხილავთ. მანამდე კი უფრო დეტალურად განვმარტოთ თუ რას წარმოადგენს ასიმეტრიული საფრთხეები და რა საფრთხეს უქმნის ევროპასა და არა მხოლოდ მას.

1.1. ასიმეტრიული საფრთხეების არსი, კლასიფიკაცია და აქტუალურობა

ტერმინი ასიმეტრიული, როგორც ავღნიშნეთ, მიუთითებს ხოლმე არათანასწორ ბალანსზე, თუმცა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საფრთხეზე, იგი შეიძლება აღქმული იქნას, როგორც არათანასწორ უპირატესობად მოწინააღმდეგეზე. ასიმეტრიულ საფრთხეებს, ხშირად, უკავშირებენ ხოლმე მეოთხე თაობის საომარ მოქმედებებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია აქამდე არსებული ჩარჩოებიდან გამოსვლა და განსხვავების გაქრობა ომსა და პოლიტიკას, ჯარისკაცსა და სამოქალაქო პირს შორის.

„ტერმინის პოპულარიზაცია მოხდა 1975 წელს, როდესაც Andrew J.R. Mack, აკადემიურ ჟურნალში World Politics დაწერა სტატია-„რატომ აგებენ დიდი სახელმწიფოები მცირე ომებს“, სადაც, მან ასიმეტრიული ომი გამოიყენა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის განსხვავების აღსანიშნავად. სიტყვა ძალაში იგულისხმებოდა მატერიალური ძალა, როგორიცაა დიდი არმია, კარგი იარაღები, განვითარებული ეკონომიკა და ა.შ“.[4]

[4] ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი, *„ასიმეტრიული ომი“,* 5/05/2015, (ბოლო ნახვა: 10/6/2020), გვ.1.
https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/

დროთა განმავლობაში, ამ ტერმინს სამხედრო და აკადემიურ საზოგადოებაში იყენებდნენ პარტიზანული ბრძოლების, ამბოხებისა, ტერორიზმის, კონტრ ტერორიზმის აღსანიშნად. შემდგომში კი, მას მიენიჭა დამატებითი მნიშვნელობა და ხმარობდნენ არა მხოლოდ, სამხედრო ძალებს შორის დისბალანსიზე ხაზის გასასმელად, არამედ მკვეთრად განსხვავებული ტაქტიკის და სტრატეგიის გამოყენების თვალსაჩინოებისთვისაც.[5]

მისი ზუსტი განმარტების მრავალი მცდელობიდან, აღსანიშნავია, ენდრიუ ფილიპსის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს არის არაპროგნოზირებადი საფრთხე და თავდასხმის შეთხვევაში თითქმის შეუძლებელია წარმოშობის წყაროს დადგენა.[6] მიჩელ რობინი ყურადღებას ამახვილებს ძალთა უთანასწორობაზე და მას მიიჩნევს სუსტი აქტორის მიერ მოწინააღმდეგის სისუსტეზე თავდასხმის ტაქტიკად.[7] ხოლო, დავიდ გლუგი კი, აღნიშნავს, რომ ასიმეტრიულ საფრთხეს მიეკუთვნებიან ისეთი ტიპის საფრთხეები, რომლებსაც ახასიათებთ ბუნდოვანება და უჩვეულო სტილი.[8]

ამ და სხვა მრავალი დეფინიციიდან, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მახასიათებელი, რაც გააჩნია ასიმეტრიულ საფრთხეებს. პირველი, რაზეც მეცნიერთა უმრავლესობა ჯერდება, არის ის, რომ, უმეტეს შემთხევავში, იგი მომდინარეობს მოწინააღმდეგესთან შედარებით სუსტი აქტორისაგან და ამის ილუსტრირებისათვის მოჰყავთ კლასიკური მაგალითი დავითისა და გოლიათის შესახებ, რომელშიც დავითი წარმოდგენილია როგორც სუსტი აქტორი, ხოლო

---

[5] ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი, *„ასიმეტრიული ომი“,* 5/05/2015, (ბოლო ნახვა: 10/6/2020), გვ.1. https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/

[6] Andrew Phillips, „The Asymmetric Nature of Cyber Warfare“, The U.S. Naval Institute, 14 October 2012, (Accessed April 11, 2020), P.1. https://news.usni.org/2012/10/14/asymmetric-nature-cyber-warfare

[7] Michael Rubin, „Asymmetrical Threat Concept and its Reflections on International Security“, Strategic Research and Study Center, 31 May.2007. (Accessed April 15, 2020), P.1. https://www.meforum.org/1696/asymmetrical-threat-concept-and-its-reflections#_ftn21

[8] David Gloag, "Asymmetric Threat: Definition & Characteristics." Study.com, 27 April 2017, (accessed April 17, 2020), P.1. study.com/academy/lesson/asymmetric-threat-definition-characteristics.html

გოლიათი კი ძლიერი. მათი უთანასწორობა, ანუ ასიმეტრიულობა გამოიხატებოდა როგორც ფიზიკურ ზომაში, ასევე ძალაში, თუმცა, დავითი მიმართავს არატრადიციულ ტაქტიკას გოლიათის დასამარცხებლად. იგი იყენებს შურდულს, თავში ესვრის ქვას, რითიც კლავს კიდეც გოლიათს და საბოლოოდ ამარცხებს მას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ასიმეტრიული საფრთხეები, გარვეულ წილად, ეჭქვეშ აღენებს ფართოდ გავრცელებულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას-რეალიზს, რომლის თანახმადაც ძალა და ძალის უპირატესობა განაპირობებს გამარჯვებას კონფლიქტებში და ამიტომაც, ყველა სახელმწიფო ესწრაფვის ძალის მოხვეჭას.

ჯერ კიდევ თუკიდიდე აღწერდა, რომ კონფლიქტის შედეგი დამოკიდებული იყო ძალაზე, და ძლიერება ნიშნავდა უფრო მეტ მოგებულ ომს, ხოლო სისუსტე კი წაგებულს, რაც გახდა საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური თეორიის საფუძველი.

საუკუნეების შემდეგ, ივან არეგუინ-ტოფტმა ეჭქვეშ დააყენა ზემოთ აღნიშნული თეორია და შემოგვთავაზა, ახალი კონცეფცია, რის მიხედვითაც, რეალურად სულაც არ არის მატერიალური ძალა პრიორიტეტული დღევანდელ დღეს. ძლიერ სახელმწიფოებს გამკლავება უწევთ არარეგულარულ ძალებთან და ხშირად უძლურნიც აღმოჩნდებიან ხოლმე მათ წინაშე. უფრო ფართო ილუსტრაციისათვის ტოფტი გვთავაზობს გრაფიკს, სადაც წარმოდგენილია პროცენტულად თუ როგორი აქტორები იგებენ კონფლიქტებს მათი სიძლიერის მიხედვით:



[9]

[9] Ivan Areguin-Toft, *How The Weak Win Wars: A Theory of Asymmetric Conflict,* (New York: Cambridge University Press, 2005), P.97.

გრაფიკი 1. სუსტი და ძლიერი აქტორების მიერ მოგებული კონფლიქტები პროცენტულად 1800-2000 წლებში.

აღსანიშნავია, რომ ტოფტი კონფლიქტში განიხილავს იმ ომებს, ტერორისტულ თავდასხმებსა თუ პარტიზანულ იერიშებს, რომლის მსხვერპლიც წელიწადში არის 1000 ადამიანი ან მეტი. ხოლო ტერმინში „ძლიერი“ იგი მოიაზრებს აქტორს, რომლის მატერიალური ძალაც აჭარბებს მის მოწინააღმდეგისას. ხოლო „სუსტში“ კი პირიქით. ანუ იყენებს ფარდობითობის პრინციპს.

გრაფიკიდან ჩანს, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში, საკმაოდ შეიცვალა სურათი და 19-ე საუკუნის დასაწყისში თუ მატერიალური ძალა იყო გადამწყვეტი, მის მეორე ნახევარში, კერძოდ 1950-99 წლებში, 43 კონფლიქტიდან 51.2% „სუსტი“ აქტორის გამარჯვებით დასრულდა. შესაბამისად, გავრცელებული თეორია, რომ მატერიალური ძალა არის გამარჯვების საწინდარი ეჭქვეშ დააყენა ასიმეტრიულმა კონფლიქტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საკმაოდ აქტუალური არის ეს თემა და გრაფიკიც მოწმობს ამას, იმის უარყოფა, რომ ისტორიაში ადრეც არსებობდნენ სუსტი აქტორები, რომლებიც მიმართავდნენ ინოვაციურ ტაქტიკას და არღვევდნენ ე.წ. სამხედრო ეტიკეტს, იქნება უტოპია. თუმცა, მათი რიცხვი რომ განსაკუთრებით გაიზარდა 21-ე საუკუნეში არც ამაზე შეიძლება გვერდის ავლა.

ჯერ კიდევ 9/11-ის ტერორისტულ თავდასხმიდან 3 კვირაში პენტაგონმა და თავდაცვის მინისტრმა, დონალდ რამსფელდმა, ყურადღება გაამახვილეს არაკონვენციურ საფრთხეებზე და აღნიშნეს, რომ საჭირო იყო სტრატეგიის შემუშავება, როგორც სხვა სახელმწიფოთა, ასევე არასახელმწიფო აქტორებიდან მომდინარე ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მათ ინტერესებს. ამის შემდეგ კი, თავდაცვის მინისტრმა, ვილიამ

კოჰენმა, ასიმეტრიული საფრთხეები შეაფასა მთავარ გამოწვევად მომავალ საფრთხეებს შორის.[10]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ გახლავთ ის, რომ ამერიკის თავდაცვის სფეროს ოთხწლიანი საანგარიშო პერიოდის მიმოხილვაში (2006 Quadrennial Defense Review) აღნიშნულია ასიმეტრიული ომის განტოლება. იგი წარმოადგენს ასიმეტრიული საფრთხეების, ასიმეტრიული ოპერაციების, კულტურული ასიმეტრიისა და ასიმეტრიული ღირებულების ჯამს (იხილეთ გრაფიკი 2). თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რას მოიაზრებს იგი ასიმეტრიულ საფრთხეებში. მისი განმარტებით ტერორიზმი, ამბოხება, ინფორმაციული ომი, დამანგრეველი და ამოუცნობი საფრთხეები მიეკუთვნებიან, სწორედ, ასიმეტრიულ საფრთხეებს.

[10] Michael Rubin, „Asymmetrical Threat Concept and its Reflections on International Security“, Strategic Research and Study Center, 31 May.2007. (Accessed April 15, 2020), P.1. https://www.meforum.org/1696/asymmetrical-threat-concept-and-its-reflections#_ftn21



გრაფიკი 2. ასიმეტრიული ომის განტოლება ამერიკის თავდაცვის სფეროს ოთხწლიანი საანგარიშო პერიოდის მიმოხილვის მიხედვით (2006 Quadrennial Defense Review). [11]

დეივიდ ბუფალოს განმარტებით, ტერორიზმის საფრთის ქვეშ მოიაზრება ყველა ტერორისტული თავდასხმები, რომლებიც არსებობს დღეს, იქნება ეს თვითმკვლელი ტერორიტები, კატასტროფული თავდასხმები როგორიც იყო 9/11-ის თავდასხმა, პოლიტიკური მკვლელობები იდეოლოგიური მოტივით, ბიოლოგიური თავდასხმები, როგორიცაა ციმბირული წყლულის გავრცელება თუ სხვა. აღსანიშნავია, რომ ტერორისტები გამოირჩევიან იდეოლოგიით, რომელიც აერთიანებს ჯგუფის წევრებს და რომელსაც ემსახურებიან საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი.

[11] David L. Buffaloe, *Defining Asymmetric Warfare* (Arlington, Virjinia: The Association of the United States Army, 2006), P. 18.

შეიძლება ითქვას, რომ, საინფორმაციო ერაში ტერორისტებს მოქმედება უფრო გაუმარტივდათ, ვინაიდან მათ მიერ გაგზავნილი შეტყობინებების ეფექტი ვრცელდება მომენტალურად მსოფლიოს მასშტაბით. მათთვის ეს შეტყობინებები კი არის გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე თავად ტერორისტული აქტები, რადგან, წარმატებას ზომავენ ამ ქმედების გამანადგურებელი და ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენის სიძლიერით და არა შეწირულ ადამიანთა სიცოცხლის რაოდენობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტერორიზმი არსებობს სხვადასხვა სახის გამომდინარე თავისი იდეოლოგიიდან და იგი შეიძლება იყოს რელიგიული, ეთნიკური, პოლიტიკური ან სოციალური. ევროპაში 20-ე საუკუნეში ძირითადად ეთნიკური ტერორიზმი სჭარბობდა, ვინაიდან, საკმაოდ აქტიურად იყენებდნენ ამგვარ ხერხებს სხვადასხვა სეპარატისტული ჯგუფები. თუმცა, დღესდღეობით რელიგიური ფონი უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ევროპის სახელმწიფოებს შორის საპოლიციო თანამშრომლობის სამსახურის, ევროპილის 2019 წლის მოხსენებაში, რომელიც ებრძვის საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმის შესახებ აღნიშნულია, რომ 2018 წლის ტერორისტული აქტების ყველა მსხვერპლი დაკავშირებული იყო ჯიჰადისტურ თავდასხმებთან. მათივე მონაცემებით, ევროპაში ტერორიზმთან დაკავშირებული თავდასხმების გამო დაკავებული პიროვნებების უმრავლესობა იყო ჯიჰადისტი, რაც ნათლად ჩანს მოცემული გრაფიკიდანაც:



გრაფიკი 3. ევროპილის მონაცემები ევროპაში ტერორისმთან დაკავშირებული ქმედებების გამო დაკავებულ ჯიჰადისტთა თანაფარდობა საერთო რაოდენობასთან 2015-2018 წლებში.[12]

რაც შეეხება ამბოხებას ბუფალო აღნიშნავს, რომ ეს არის რევოლუციური ომი, რომელშიც ასიმეტრიულობა უმთავრესი მახასიათებელია. ტერორიზმისაგან გასხვავებით იგი მთლიანად დამოკიდებული არის ხალხის მხარდაჭერაზე და მათი სამიზნე ჯგუფსაც, სწორედ, ისინი წარმოადგენენ. უფრო მეტიც, ლანდრი მიიჩნევს, რომ ალქაიდას მოქმედებები და სტრატეგია უფრო მეტად მოიცავს გლობალურ ტრანსნაციონალურ ამბოხს (საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ) ვიდრე ტერორიზმს. მისივე თქმით, ოსამა ბინ ლადენმა მიმართა მოქმედებებს, რომლებიც გამიზნული იყო საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ასიმეტრიული საფრთხეების მესამე სახეს წარმოადგენს ინფორმაციული ომი. 21- საუკუნეში ინფორმაციამ შეიძინა იარაღის ფუნქცია, რომლის საშუალებითაც ყალიბდება იდეები, იდეოლოგიები, სტერეოტიპები და სხვა საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებები. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მით უფრო რთული ხდება ინფორმაციულ ლაბირინთში გზის გაკვლევა, ხოლო ტერორისტების მიერნ მცდარი ინფორმაციის გავრცელება კი გამარტივდა. მაგალითისათვის, ტერორისტულ ორგანიზაციებს, დღეს, სულაც აღარ სჭირდებათ დიდი ფონდი ან ფინანსური სახსრები კონკრეტული ინფორმაციის გასავრცელებლად და საზოგადდოებაზე ფსიქოლოფიური ზემოქმედების მოსახდენად, რადგან ამის გაკეთება შეუძლიათ ინტერნეტში ერთ ღილაკზე ხელის დაჭერითაც.

ინფორმაციულ ომთან ერთად არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ კიბერ სივრცეზე, რომელიც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ევროპისათვის. მოგეხსენებათ, რომ საზოგადოება მთლიანად თუ არა უმეტესად მაინც გადასული

[12] EUROPOL, *European Union Terrorism Situation and Trend Report 2019,* European Union Agency for Law Enforcement Cooperation, 2019, (Accessed April 9, 2020), P.1. https://www.europol.europa.eu/activities-services/main-reports/terrorism-situation-and-trend-report-2019-te-sat

არის ტექნოლოგიურ ცხოვრებაზე და მასზე თავდასხმები, ხშირად, სერიოზულ ზიანს აყენებს არა თუ თითოეულ ინდივიდს, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ კიბერ თავდასხმები ასიმეტრიულ საფრთხეებს შორის ყველაზე ხელმისაწვდომი არის, ვინაიდან მოწინაღმდეგეზე თავდასასხმელად არ არის საჭირო სამხედრო ბაზა ან მატერიალური სიძლიერე. ერთადერთი, რაც საჭიროა, ეს არის კომპიუტერი და ინტერნეტ კავშირი. გარდა ამისა, კიბერ თავდასხმები ყველაზე ოპერატიულია და წყაროს დადგენა თითქმის შეუძლებელია. როგორც ანდრიუ ფილიპსი აღნიშნავს, კიბერ თავდასხმები ხდება სინათლის სისწაფით და მასზე რეაგირებისათვის ან კონტრ შეტევისათვის დრო თითქმის არ გააჩნია მსხვერპლს[13]. ერთადერთი, რაც შეიძლება ეფექტური იყოს მის წინაშე, ეს არის ტექნოლოგიების ავტომატური თავდაცვის სისტემა.

კიბერ თავდასხმები რომ ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა მოწინააღმდეგეზე შეტევისათვის ასიმეტრიულ ომში ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას მხოლოდ სუსტი აქტორები იყენებენ. ამის საპიროსპიროდ, ძლიერი სახელმწიფოებიც არც თუ იშვიათად მიმართავენ კიბერ თავდასხმებს მისი ბუნებიდან გამომდინარე. კერძოდ, უხილავი, მოულოდნელი და წარმოშობის დაუდგენელი წყაროს მქონდე თავდასხმები ხელს აძლევს, როგორც პატარა დაჯგუფებებს, ასევე დიდ სახელმწიფოებს, რათა გვერდი აუარონ საერთაშორისო სამართალს მოწინააღმდეგეზე ზიანის მიყენების შემდეგ. ამის მიზეზი კი არის ის, რომ არცერთ სახელმწიფოს, ტოტალიტარულსაც კი, არ სულს აგრესორის სახელის ტარება, ამიტომ კიბერ სივრცე არაჩვეულებრივი საშუალებაა მოწინააღმდეგეზე უხილავი თავდასხმისთვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, ყოველთვის უხილავი როდი რჩება კიბერ თავდასხმები. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ „2008 – 2014 წლებში რუსეთის მხრიდან სისტემატურად ხორციელდებოდა კიბერშეტევა საქართველოს შინაგან

[13] Andrew Phillips, „The Asymmetric Nature of Cyber Warfare“, The U.S. Naval Institute, 14 October 2012, (Accessed April 11, 2020), P.1. https://news.usni.org/2012/10/14/asymmetric-nature-cyber-warfare

და საგარეო საქმეთა სამინისტროების, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სახელისუფლებო, სამხედრო წარმომადგენლობების, NATO-სა და OSCE-ს საიტებზე...ეს კიბერშეტევები ხორციელდებოდა რუსული ჰაკერული დაჯგუფება APT 28-ის მიერ, რომელსაც არაოფიციალური ინფორმაციით, კოორდინაციას უწევს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური (ФСБ). დაჯგუფებისთვის დამახასიათებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობა. პირველად APT 28 ეგონათ ჩინური წარმოშობის, მაგრამ შემდეგ ექსპეტთა უმრავლესობა დარწმუნდა, რომ APT 28 არის რუსული ჰაკერული დაჯგუფება, რომლის სავარაუდო ადგილმდებარეობაა სანქტ-პეტერბურგი;".[14]

არა მხოლოდ სახელმწიფო დონეზე, არამედ ევროპის მოსახლეობის უმეტესობაც სკეპტიკურად არის განწყობილი კიბერ თავდასხმების მიმართ. კერძოდ, ევროკომისიის 2015 წლის მოხსენებაში კიბერ უსაფრთხოების შესახებ, აღნიშნულია, რომ ევროპაში, ინტერნეტ მომხმარებლები გამოხატავენ დიდ შეშფოთებას კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ინტერნეტ მომხმარებელთა 85% მიიჩნევს, რომ რისკი კიბერდანაშაულის მსხვერპლად გახდომის უფრო და უფრო იმატებს. 73%-ის აზრით კი მათი პირადი ინფორმაცია არ არის დაცული საკმარისად ვებსაიტების მიერ.

„NATO - ს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მომავალში კონფლიქტები წარმოიქმნება იმ გარემოში, რომელსაც ახასიათებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო უახლესი ტექნოლოგიების, მათ შორის სოციალური მედია საშუალებების აქტიური გამოყენება".[15]

დღესდღეობით უფრო მწვავედ დგას ეს პრობლემა ევროპის წინაშე, ვინაიდან კოვიდ-19 ვირუსის ფონზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები თითქმის აიკრძალა ყველაგან, რაც ხელს არ აძლევს სხვადასხვა ორგანიზაციებს

---

[14] ვლადიმერ სვანაძე და ანდრია გოცირიძე, *კიბერ თავდაცვა: კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები,* (თბილისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-სსიპ კიბერსუსაფრთხოების ბიურო, 2015), გვ. 58.

[15] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 28.

ტერორიტული თავდასხმებისათვის, ხოლო კიბერ თავდასხმები კი უფრო მეტად გაადვილდა. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანთა უმრავლესობას სახლიდან უწევს მუშაობა ყველას კომპიუტერში არ არსებობს ის დამცავი სისტემა, რაც გააჩნდათ კომპანიებს საკუთარ ქსელურ კომპიუტერებზე. შესაბამისად, რიგით, პერსონალურ კომპიუტერებზე უფრო მარტივი გახდა კიბერ თავდასხმები და მათი ბოროტად გამოყენება.

რაც შეეხება გამანადგურებელი საფრთხეების ტიპს, დავიდ ბუფალოს აზრით, მიეკუთვნება ისეთი სახის თავდასხმები, როგორიც იყო, მაგალთად, 9/11-ის ტრაგედია. მისი თქმით, ასეთი გამანადგურებელი თავდასხმები შედეგი იზომება ფსიქოლოგიური ეფექტის მოხდენით, და არა ფიზიკური ზარალის მიყენებით.[16] ასეთი დარტყმების შემდეგ, სახელმწიფოებს, როგორ წესი, უწევთ ხოლმე მრავალი ზომების მიღება, რათა საზოგადოებამ კვლავ იგრძნოს თავი უსაფრთხოდ. მაგალითად, ამერიკამ მილიარდობით დოლარი დაკარგა 9/11-ის შემდეგ საჰაერო ფრენების შეჩერებისათვის, და უფრო მეტი თანხა დახარჯა საზოგადოების დასარწმუნებლად იმაში, რომ 9/11 აღარ განმეორდებოდა.

ამგვარად, ასიმეტრიულ საფრთხეებზე საუბრისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ მას ახასიათებს ძალთა უთანასწორობა, ომის არატრადიციული მეთოდები თუ საშუალებები, რაც გამოიხატება პატრიზანულ ან ტერორისტულ შეტევებში, კიბერ თავდასხმებსა თუ სხვა არატრადიციულ ბრძოლის ტაქტიკაში. შესაბამისად, აუცილებელია განვიხილოთ თუ რამდენად ჯდება აღნიშნული ქმედებები მორალურ-სამართლებრივ ჩარჩოებში და რა გამოწვევებს უქმნის სახელმწიფოებს.

1.2. ასიმეტრიული ომის მორალური განზომილება და კონვენციური ძალების ეფექტიანობა

[16] David L. Buffaloe, *Defining Asymmetric Warfare* (Arlington, Virjinia: The Association of the United States Army, 2006), P. 19.

ომი, იქნება ეს სიმეტრიული თუ ასიმეტრიული ყოველთვის ბადებს კითხვას თუ რამდენად მორალური არის თავისი მიზნებიდან და საშულებებიდან გამომდინარე და როგორია მისი წარმოების ზნეობრივი გზა. შესაბამისად, ამ პრობლემის ირგვლივ დღემდე შექმნილია არა ერთი თეორია მისი ავკარგიანობის შესახებ.

„აქტივიზმის თვალსაზრისით მთავრობის მიერ მოწოდებულ ომში მონაწილეობა მართებულია. ამ პოზიციის დამცველია პლატონი, მის დიალოგში „კრიტონი“ მოცემულია არგუმენტები, რომელთა მიხედვით ხელისუფლებისა და პიროვნების ურთიერთობის დარეგულირება ხელისუფლების ნების პრიმატით უნდა გადაწყდეს. უფრო დიდი ბოროტებაა არ დაემორჩილო მთავრობას, ვიდრე ომში მიიღო მონაწილეობა, რადგან დაუმორჩილებლობას ანარქიასა და რევოლუციამდე მივყავართ, რაც გაცილებით დიდი ბოროტებაა ვიდრე ომი“.[17]

მაგრამ, რა ხდება, როდესაც ომში ერთვებიან არასახელმწიფოებრივი აქტორები? მათი მორალი რაში მდგომარეობს თუ კი სახლმწიფო არ არის ომის მოწოდების წყარო?! ამ შემთხვევაში ალბათ, ყურადღება უნდა გავამახილოთ უფრო ომის ეთიკაზე, იმ ტაქტიკაზე, რასაც მოწინააღმდეგეები იყენებენ დაპირისპირების პერიოდში და არა იმაზე თუ ვინ მოუწოდებს მისკენ.

მეორე პოზიციის, ანუ პაციფიზმის მომხრეების აზრით ყველანაირი ომი გაუმართელებელი და არაზნეობრივია, ვინაიდან იგი არის საფუძველი ყოველგვარი უბედურების, ამორალურობის, შიმშილის, ნგრევის და ა.შ. მას არ გააჩნია ზნეობა და ეთიკა. შესაბამისად, ომში და მის ტაქტიკაში ზნეობრიობის ძიება სრულ უტოპიად მიაჩნიათ.

მესამე პოზიცია გახლავთ სელექტივიზმი, რომლის მიხედვითაც „არსებობს სამართლიანი ომები (Bellum iustum), რომელშიც მონაწილეობა მორალური ვალდებულებაა მოქალაქისათვის. ამ პოზიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს

[17] კახა სვანი, „ომის ეთიკა“, 18 ნოემბერი, 2014 (ბოლო ნახვა 7 მაისი, 2020), გვ. 1. https://kaxasvani.wordpress.com/2014/11/18/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

ანტიკური ფილოსოფიიდან დაწყებული (ციცერონი), შუა საუკუნეების (ნეტ. ავგუსტინე, თომა აქვინელი, ამბროზიუსი), ახალი დროის ფილოსოფიისა (ჯონ ლოკი, სემუელ პაფენდორფი,იმანუილ კანტი) და უახლესი დროის ფილოსოფიის ჩათვლით (პაულ ტილიხი, რეინოლდ და რიჩარდ ნებურები, ჯონ როულსი, მაიკლ ნოვაკი, ჯეკ მაკმაჰანი, ბრაიან ორენდი და სხვ)".[18]

მათი პოზიცია საკმაოდ ბუნდოვანია და დღეს რთული არის ვისაუბროთ იმაზე, თუ რა არის სამართლიანი და რა უსამართლო, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ასიმეტრიულ ომებს. მაგალითისათვის, ტერორისტები ყოველთვის მოქმედებენ საკუთარი იდეოლოგიიდან და „მორალური" ნორმებიდან გამომდინარე და ერთისთვის თუ ტერორისტია ის ვინც თავს იფეთქბეს, მეორესთვის შეიძლება თავისუფლებისათვის მებრძოლი აღმოჩნდეს.

გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი სამივე პოზიცია განიხილავს ომებს სახელმწიფოთა შორის, მაგრამ რა ხდება როდესაც აქტორები იცვლებიან და სახელმწიფო გამოდის არასახელმწიფოებრივ აქტორის წინააღმდეგ? მორალი და სამართალი იგივე რჩება თუ იცვლება ისიც დროსა და სივრცის მიხედვით?

ჯერ კიდევ 19-ე საუკუნეში, ოტო ფონ ბისმარკმა[19] გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ არატრადიციულ ასიმეტრიულ კონცეფციას შეუძლია დაეხმაროს სუსტ კონვენციურ სამხედრო ძალებს ბალანსის მიღწევაში. იგი აღნიშნავდა: „ჩვენ ვცხოვრობთ საოცარ დროში, როდესაც ძლიერი არის სუსტი თავისი მორალურობის გამო და სუსტი არის ძლიერი მისი კადნიერების დამსახურებით".[20] ამ სიტყვებში ბისმარკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, სუსტს შეუძლია დააბალანსოს ძლიერი მოწინააღმდეგის სამხედრო ძალა თუ იგი უარს იტყვის მორალურ და კულტურულ, ან თუნდაც სამართლის მიღებულ ნორმებზე.

---

[18] კახა სვანი, „ომის ეთიკა", 18 ნოემბერი, 2014 (ბოლო ნახვა 7 მაისი, 2020), გვ. 1. https://kaxasvani.wordpress.com/2014/11/18/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

[20] David L. Buffaloe, *Defining Asymmetric Warfare* (Arlington,Virjinia: The Association of the United States Army, 2006), P. 8.

რაც არ უნდა ვისაუბროთ, ნებისმიერი ომის დროს ჩადენილი დანაშაულებები დღეს მიეკუთვნება უმძიმეს დანაშაულებებს, რომლებიც დაცული არის ჟენევისა და ჰააგის ხელშეკრულებებში და იგი ხელს უწყობს ომის ფორმალური კოდექსის შექმნას, სამხედროთა ქცევის წესების ჩამოყალიბებასა და ეთიკური ნორმების დაცვას. თუმცა, საქმე მეტად რთულდება, როდესაც იგი ეხება არაკონვენციურ ძალებს, რომლებიც ნაკლებად ითვალისწინებენ მორალურ ნორმებს თავის მოქმედებებში და იყენებენ საყოველთაოდ აღიარებულ ტქტიკას- „მიზანი ამართლებს საშუალებას".

ჰერფრიდ მიუნკლერი გამოყოფს თანამედროვე ომის სამ ძირითად მახასიათებელს: პირველი ეს არის de-statization, რაშიც იგი გულისხმობს სახელმწიფოების როლის შესუსტებასა და არასახელმწიფო აქტორების გაძლიერებას; მეორე-მოწინააღმდეგეზე დარტყების ფოკუსირება მის სისუტესა და უფრო მეტად მოწყვლად ადგილებზე, ვიდრე მის სამხედრო კონვენციურ ძალებზე; და მესამე- იმ ძალადობრივი ნორმების ფართოდ გავრცელება, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ ერთჯერად სამხედრო სისტემას. მაგალითად, პარტიზანული ომისა და ტერორიზმის გამოყენება, როგორც ტაქტიკური საშუალების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.[21]

თუმცა, რატომ ხდება ასე ან რაში გამოიხატება ასიმეტრიული ომის ამორალურობა? პირველ რიგში, იმიტომ, რომ ასიმეტრიული საფრთხეების უმეტეს შემთხვევებში მთავარი მსხვერპლი არის მშვიდობიანი მოსახლეობა. მერი კალდორის მონაცემებზე დაყრდნობით, მეოცე საუკუნის დასაწყისში ომის მსხვერპლთა 85-90% იყვნენ სამხედროები, ხოლო გვიან 90-იანებში კი, ამის საპირისპიროდ შემოტრიალდა სურათი და ომში დაღუპილთა შორის დაახლოებით 80% არიან სამოქალაქო პირები.[22] შესაბამისად, როგორც გენერალი რუპერ სმიტი აღნიშნავს, მოსახლეობა გახდა ბრძოლის ველის ნაწილი. თუმცაღა,

[21] Daren Bowyer, "The Moral Dimension of Asymmetrical Warfare: Accountability, Culpability and Military Effectiveness", in *The Moral Dimention of Asymmetrical Warfare: counter-terrorism, Democratic Values and Military Ethics*. Eds. Th. A. van. Baarda and D.E.M. Verweij (Leiden: Martinus Nijhoff publisher, 2009), P. 138.

[22] Daren Bowyer, "The Moral Dimension of Asymmetrical Warfare: Accountability, Culpability and Military Effectiveness", P. 140.

ხალხი რომც არ იყოს მათი პირდაპირი სამიზნე, არარეგულარული ძალები მას იყენებენ როგორც ფარს, რომელსაც შეიძლება ამოეფარონ ომის დროს.

ევროკავშირის 2003 წლის ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ 1990 წლიდან დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი დაიღუპა ომის შედაგდ, რომელთა 90% იყვნენ სამოქალაქო პირები.[23] აღნიშნული სტატისტიკა საკმაოდ შემაშფოთებელია და ბადებს ადეკვატურ კითხვას თუ სად არის მორალი და ომის ეთიკა?!

იმის ფონზე, რომ, როგორც ბისმარკი აღნიშნავს, ზნეობაზე უარის თქმით ისინი მოიპოვებენ პრიორიტეტს მოწინააღმდეგეზე, სახელმწიოფოები დგანან კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი: მათაც უარი თქვან საერთაშორისო სამართალზე თუ პირიქით საერთაშორისო სამართალი გამოიყენონ მათ მიერ ჩადენილი გარკვეული ქმედებების გასამართლებლად?! მაგალითად, დღემდე ბევრ სახელმწიფოსა თუ მეცნიერს აწუხებს კითხვა, თუ რა იყო ამერიკის ერაყში შეჭრის რეალური მიზეზი. ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე გამანადგურებელ ასიმეტრიულ საფრთხესთან ანუ ტერორიზმთან? თუ ერაყის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის მოპოვება.

სანამ ამას გავარკვევდეთ, ყურადღება მინდა გავამახვილო ასიმეტრიული საფრთხის კონკრეტულ სახეზე-კიბერ თავდასხმებზე- და მის მორალურ განზომილებაზე.

დღესდღეობისთ, კიბერ თავდასხმებს შეუძლია ისეთი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოებს, რომლებიც ხელს შეუშლის მათ ნორმალურ ფუნქციონირებაში. თუმცა, როგორც, ზემოთ ავღნიშნეთ, ამგვარ ასიმეტრიულ ტაქტიკას იყენებენ არა მხოლოდ არასახელმწიფოებრივი აქტორები, არამედ თავად სახელმწიფოებიც. მაგალითად, ხშირად ვხვდებით ერთი სახლელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს არჩევნებში ჩარევის შემთხვევებს კიბერ შეტევების შედეგად, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების ტექნიკურ დაზიენებას და ა.შ.

[23] Adam Roberts, "Lives and Statistics: Are 90% of War Victims Civilians?" Journal *Survival*, vol. 52. No.3. June-July, 2010, pp. 115-136.

„დღესდღეისობით ყველაზე აქტიურად სოციალური მედიის საშუალებებს გამოიყენებს ისლამისტურ - ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციები. მაგალითად, ალ - ქაედას მიერ ხშირად გამოიყენება Facebook - სა და YouTube - ს არხები „ისლამის მებრძოლთა“ დაქირავებისთვის და ფუნდამენტური ისლამის იდეოლოგიის გავრცელებისთვის, აგრეთვე, ცდილობს სულ უფრო მეტი მომხრე შეიძინოს, განსაკუთრებით დასავლეთში. გარდა ამისა, სოციალური ქსელები აქტიურად გამოიყენება ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციისა და რჩევების გასაცვლელად“.[24]

„აშშ-ს კვლევითი სამსახურების ვარაუდით, ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან სოციალური მედიის გამოყენება ხდება მიზანმიმართული ტყუილის გავრცელება სტიქიური უბედურების დროს ან მისი დამთავრებისთანავე, რათა ზედმეტად უარყოფითად იქნას წარმოჩენილი ზემოქმედება, და ქვეყნის მხრიდან დაგვიანებული რეაქცია“.[25]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაოდ ნათელია ის, თუ რა როლი შეიძლება გააჩნდეთ კონვენციურ სამხედრო ძალებს ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის კუთხით. მათ შეიძლება აღკვეთონ კონკრეტული ტერორისტული თავდასხმები, ან პარტიზანულ ომებს დაუპირისპირდნენ, თუმცა კიბერ სივრცეში ისინი ფაქტიურად უძლურნი არიან.

თანამედროვე მსოფლიოს, უკვე მრავალი განზომილება გააჩნია, სადაც უწევთ ბრძოლა სახელმწიფოებს, იქნება ეს ტრადიციული სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო თუ კოსმოსი და კიბერ სივრცე. მათგან კიბერ სივრცე იმით განსხვავდება, რომ მასში ბრძოლა მიმდინარეობს უხილავად, დისტანციურად და ყველაზე დაბალი დანახარჯებით მაღალი ზიანის მიყენებით. მასთან ბრძოლა მთლიანად დამოკიდებული არის ტექნოლოგიებზე და არა კონვენციური ძალების სიძლიერეზე. ანუ, სახელმწიფოებს ერთადერთი თავდაცვის იარაღი ამ შემთხევავაში გააჩნიათ თავად ტექნიკის ავტომატური თავდაცვის სისტემა, რათა

[24] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 26.
[25] იქვე., გვ. *27.*

ვერ მოხდეს მასში ადვილად შეღწევა და კიბერ თავდასხმის განხორციელება. ამიტომ, დღეს, ქვეყნების სიძლიერეს განაპირობებს არა მხოლდ კონვენციური ძალების რაოდენობა და მომზადების ხარისხი, არამედ სახელმწიფოს შესაძლებლობა უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება ყველა განზომილებაში. ამისათვის კი საჭირო არის ძლიერი ტექნიკური ბაზა და ნორმები იმ სფეროში სადაც, უძლურია კონვენციური ძალები.

ამრიგად, ომის ბუნების ცვალებადობასთან ერთად შეიცვალა მისი წარმოების წესები და მორალურ ეთიკური ნორმებიც. გამომდინარე იქიდან, რომ არასახემწიფოებრივი აქტორები ასიმეტრიულ ომში მიმართავენ ძირითადად ომის არატრადიციულ მეთოდებსა და ხშირად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს , სახელმწიფოებისთვის უფრო რთული გახდა მათთან ბრძოლა. ისინი შეზღუდულები არიან გარკვეული სამართლის ნორმებით და არ გააჩნიათ სრული თავისუფლება მოწინააღმდეგისათვის საპასუხო დარტყმების მისაყენებლად. თუმცა, საინტერესოა განვიხილოთ ასევე, თუ როგორ არეგულირებს საერთაშორისო სამართალი ასიმეტრიულ ომებს, მის კონკრეტულ სახეებს და რა სტრატეგიები გააჩნიათ ევროპის სახელმწიფოებს.

1.3. ასიმეტრიული საფრთხეების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმები

მას შემდეგ, რაც მეტ-ნაკლებად გარკვეული იქნა თუ რას წარმოადგენს ასიმეტრიული საფრთხე, კიდევ უფრო რთული არის იმის გამიჯვნა თუ სად გადის „წვრილი წითელი ხაზი“ ასიმეტრიულ საფრთხესა თუ თავდასხმებსა და კრიმინალს შორის. ან როგორ უნდა ვებრძოლოთ ასიმეტრიულ საფრთხეებს დემოკრატიისა და საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში?!

როდესაც, 2001 წელს, ამირიკამ მიიღო პატრიოტის აქტი და შეეცადა, პირველად ისტორიაში, ტერორიზმი გამოეცხადებინა მსოფლიოს ყველაზე დიდ საშიშროებად და მასთან ბრძოლა გადაწყვიტა, საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა კრიტიკა, რომ მათ მიერ შერჩეული ბრძოლის მეთოდები ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს სიტყვის თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე და სხვა.

აღნიშნულმა ფაქტმა, ნათლად დაანახა საზოგადოებას, რომ, ასეთი ტიპის საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული იქნებოდა დემოკრატიული უფლებების ხელშეუხებლად, თუმცა საზოგადოებას არც ამის დათმობა სურდა და არც უსაფრთხოების. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი დადგა საკმაოდ დიდი დილემის წინაშე, თუ როგორ უნდა გადაეწყვიტათ ეს პრობლემა ისე, რომ პარალელურად არ დარღვეულიყო უკვე არსებული უფლებები და ღირებულებები.

ასიმეტრიული კონფლიქტების ასიმეტრიულობა გამოიხატება არა მხოლოდ მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა უთნასწორობასა და ტაქტიკის განსხვავებაში, არამედ სამართლებრივ უთანასწორობაშიც. რაც გულისხმობს იმას, რომ ხშირად საერთაშორისო სამართლით შეზღუდული სახელმწიფოები გამოდიან ისეთი აქტორების წინააღმდეგ რომელთა ქმედებებიც ნაკლებად არის დარეგულირებული სამართლის ნორმებით და ხშირად არც ემორჩილებიან მათ.

დავიწყოთ იმით, რომ კონფლიქტების ასიმეტრიულობა გამოწვევად იქცა ომის ყველა დონეზე. სტრატეგიულ დონეზე, როდესაც სახელმწიფო გამოდის არასახელმწიფო აქტორის წინააღმდეგ პრობლემა იკვეთება იმაში, თუ როგორ უნდა განახორციელოს საპასუხო დარტყმა სახემწიფომ, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი ძირითადად განიხილავს ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის და ძალიან მცირე ნაწილი შეეხება ურთიერთობებს სახელმწიფოსა და არასახელნწიფოებრივ აქტორებს შორის. შესაბამისად, როდესაც ერთი სახელმწიფო საფრთხეს უქმინს მეორე სახელმწიფოს, მისი უფლება რომ გამოიყენოს ინდივიდუალური ან კოლექტიური დავდაცვის უფლება ნათელია.

თუმცა, როდესაც სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის არასახელმწიფოებრივი აქტორი აღნიშნული თავდაცვის უფლება ბუნდოვანია. მაგალითისათვის, ისრაელის თავდასხმა სამხრეთ ლიბანზე გამართლებული იყო თავდაცვის უფლებით, მაგრამ, რეალური აქტორი, რომელიც საფრთხეს უქმინდა ისრაელს იყო ჰეზბოლა და არა ლიბანი.

მეორე პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში არის ადამიანის ულებები. როგორც ზემოთ იქნა განხილული, ხშირად ამგვარი კონფლიქტების მსხვერპლნი არიან რიგითი სამოქალაქო პირები და არა სამხედროები. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კი ემსახურება სწორედ იმას, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები „შეიარაღებული კონფლიქტის“ დროს. მისი კანონები დაცული არის ჟენევის 4 კონვენციაში და მათ 2 დამატებით ოქმში. იგი შეეხება სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს და ასევე გამოიყენება გარკვეულ ასიმეტრიული ომების დროს. აღნიშნული სამართალი კრძალავს მიზანმიმართულ ძალადობრივ ქმედებებს მოქალაქეებისა და სამოალაქო ობიექტების წინააღმდეგ.

აღნიშნული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დაფუძნებულია განსხვავების პრიციპზე, რაც გულისხმობს იმას რომ, კონფლიქტებში მონაწილე თითოეული პირი უნდა განისაზღვროს სამოქალქო და ან მებრძოლ მხარედ და დაუშვებელი არის განურჩეველი ხასიათის თავდასხმები. გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტული თავდასხმების მსხვერპლნი, ძირითადად, არიან ხოლმე სამოქალაქო პირები, აღნიშნული სამართალი ასევე კრძალავს ტერორისტულ ღონისძიებებს.

ამასთანავე, არსებობს ასევე ადამიანის უფლებათა სამართალი, რომელიც იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ნებისმიერ სიტუაციაში. ”არსებითად, ძირითადი განსხვავება ამ ორ სამართალს შორის არის ის, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი იცავს პირებს ყველა დროს, მაშინ როცა ჰუმანიტარული

სამართალი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს საომარ ქმედებებს“[26].

რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის ეფექტიანობას კიბერ სივრცის დასაცავად, ამ საკითხში უფრო რთულადაა დღეს საქმე. მიუხედავად მრავალი საერთაშორისო შეთანხმებისა თუ პაქტებისა სახელმწიფოთა უმრავლესობა იდივიდუალურად განსაზღვრავენ თუ როგორ იბრძოლონ აღნიშნული საფრთხის წინააღმდეგ. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა განსაკუთრებულ დღის წესრიგში მოექცა ტექნოლოგიურ ცხოვრებაზე გადასვლისთანავე. დღეს იმდენად გაიზარდა ინტერნეტისა და სხვადასხვა ტექნოლოგიების როლი საზოგადოებაში, რომ აღნიშნული სფეროს დაცვა გახდა სახელმწიფოთა უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

2001 წლის 23 ნოემბერს ბუდაპეშტში ხელი მოეწერა კიბერდანაშაულთან ბრძოლის ევროპულ კონვენციას (CETS 185), რომელიც ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს შექმნან სამართლებრივ - ნორმატიული ბაზა აუცილებელი კიბერდანაშაულის პრობლემის ეფექტური გადაწყვეტისთვის. იგი არის მოცემულ სფეროში ერთადერთი აღიარებული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც მიღებულია საერთაშორისო დონეზე და ის არის ღია ყველა დაინტერესებული ქვეყნისთვის და ასევე ევროპული კონვენცია არის ერთერთი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია და კლასიფიცირებულია კიბერდანაშაული. თუმცა, მიუხედავად მისი საყოველთაოდ აღიარებისა, მაინც იწვევს გარკვეულ კრიტიკას. კერძოდ „კონვენცია კომპიუტერულ ქსელზე განხორციელებულ შეტევას განიხილავს როგორც კერძო და სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, და არა როგორც ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეს. მეორე, კონვენცია ერთმანეთისგან არ ანსხვავებს შეტევებს ჩვეულებრივი კომპიუტერული ქსელებსა და კრიტიკული

[26] გოლეთიანი ადელი, *ადამიანის უფლებები, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი* (თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019), გვ. 26.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის, ისევე როგორც ფართომასშტაბიან და ლოკალურ შეტევებს შორის."[27]

გარდა ამისა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კიბერშეტევებს თან ახლავს ის სირთულეც, რომ ხშირად მისი წყაროს დადგენა შეუძლებელია. მისი იდენტიფიცირება რომც მოხდეს, ჩნდება ახალი საკითხი- აქვს თუ არა უფლება სახელმწიფოს, რომელზეც განხორციელდა კიბერ თავდასხმა, მიიღოს რაიმე სახის საპასუხო ზომები იმ თავდამსხმელის მიმართ, რომელიც აღნიშნული სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ იმყოფება?!

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია სახელმწიფობეს შორის ინდივიდუალურ თუ რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობა, რასაც ხელს უწყობენ სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციები.

დღემდე, მრავალმა სახელმწიფომ მიიღო „ქოლგისებური"("umbrella type) სამართლებრივი რეგულაციები, ანუ სამართალთან და ადეკვატურ მექანიზმებთან შეუთავსებელი ნორმები კიბერ თავდასხმებსა და ჰაკერებთან საბრძოლველად.[28] მაგალითად: „2005 წელს გერმანია იღებს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვის სახელმწიფო გეგმას (National Plan for Information Infrastructure Protection - NPSI). მომავალ წელს შვედეთის მთავრობა ამუშავებს შვედეთში ინტერნეტის უსაფრთხოების გაძლიერების სტრატეგიას (Strategy to improve Internet Security in Sweden). ესტონეთმა თავისი კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება დაიწყო 2007 წელს რუსეთის მხრიდან ქვეყანაზე განხორციელებული მასიური კიბერშეტევის შემდეგ და 2008 წელს ევროკავშირის წევრ - ქვეყნებს შორის გახდა პირველი, რომელმაც გამოაქვეყნა კიბერუსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია."[29]

---

[27] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 111.
[28] Organization for security and co-operation in Europe , *"The OSCE and contemporary security challenges: A collection of essays*," (Mission to Serbia, 2016), P. 100.
[29] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 43.

საქმე კიდევ უფრო რთულდება როდესაც იგი შეეხება სოციალურ მედიას და მის უსაფრთხოებას. „სოციალური ქსელების სწორად გამოყენების გზებს მსოფლიოს მთელი საზოგადოება ეძებს. ხელისუფლების მხრიდან სოციალურ ქსელებზე მონიტორინგის განხორციელება და კონტროლის დაწესება, გარკვეულწილად, ადამიანის უფლებების დარღვევად აღიქმება, როცა არდაწესებამ შეიძლება წარმოშვას სერიოზული საფრთხეები. ეს ფაქტი კი ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ პრობლემა თავისებურად მოაგვარონ, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ - მინისტრის დევიდ ქემერონის მხრიდან გაკეთებულმა განცხადებამ სოციალურ ქსელებზე სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის დაწესების შესახებ საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, მთავრობაც იძულებული იყო წასულიყო დათმობებზე.“[30]

„საკმაოდ რთული გადასაწყვეტია პრობლემა დაკავშირებული ადამიანის, როგორც სოციალური ქსელების მომხმარებლის უფლებებთან. ეს უფლება ადამიანს მინიჭებული აქვს კონსტიტუციით, სხვადასხვა ქარტიებითა და საერთაშორისო აქტებით, მისი ხელყოფა კი დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე ყოვლად დაუშვებელია. მის დარღვევას ან თუნდაც ნაწილობრივ შეზღუდვას ერიდება დემოკრატიულობის ინდექსის მაღალი თუ საშუალო ნიშნულის მაჩვენებელი ყველა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან ეს მისთვის პოლიტიკურად აშკარად წამგებიანი ნაბიჯი იქნება. ამიტომაც, პოლიტიკური ლიდერები სოციალური ქსელების არასწორი გამოყენების პროცესს ხშირ შემთხვევაში უკავშირებენ ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას, ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, რაც ხშირად ხდება ხელისუფლების მხრიდან სოციალურ ქსელებზე არასანქცირებული ფარული მონიტორინგისა და

[30] იქვე., გვ. 37.

კონტროლის განხორციელების მცდელობის მიზეზი. სწორედ აქ სრულდება დემოკრატია და იზღუდება მისი ფასეულობები.“[31]

ამრიგად, ამა თუ იმ კანონის არსებობა სამწუხაროდ, არ უზრუნველყოფს ასიმეტრიული საფრთხეების სრულ აღკვეთას, რადგან, ერთი, რომ თავად აქტორები არ ემორჩილებიან მის კანონებს და მეორეც, საერთაშორისო სამართალი შეიქმენა იმ პერიოდში, როდესაც ასეთი ტიპის საფრთხეები არ აღიქმებოდა მნიშვნელოვან საფრთხედ სახელმწიფოებისათვის. დღეს კი ისინი არიან ყველაზე უკონტროლო და საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი. თუმცა ფაქტია, რომ ანარქიულ სისტემაში ისევ და ისევ სამართალი უნდა გახდეს ის ძალა, რომელიც დაარეგულირებდა ამგვარი აქტორების მოქმედებებს.

როგორც სამართლის დოქტორი ანა ფირცხალაშვილი აღნიშნავს „სწორედ სამართალი უნდა იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ორი - საერთაშორისო და ეროვნული - ღირებულებების ოპტიმალურ ურთიერთკორელაციას. ცივი ომის, მის შემდგომ პერიოდზე და დღეს მომდინარე პროცესებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ სახელმწიფოებს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში არ შეუძლიათ იზოლირებულად, სხვა სახელმწიფოებისაგან და ხალხებისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ. მსოფლიოს წინაშე მდგარი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს დაცვა, ტერორიზმთან ბრძოლა და სხვა საფრთხეები, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის დაძლევადი.“[32] ამრიგად, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სფერო, სამართალიც უნდა ტრანსფორმირდეს გლობალიზაციის ახალი გამოწვევების შესაბამისად და უფრო მეტად უნდა მოიცვას ურთიერთობები სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივ აქტორებს შორის და ასევე ბძოლის ახალი განზომილებები, იქნება ეს კიბერსივრცე თუ კოსმოსი.

---

[31] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 38.

[32] ანა ფირცხალაშვილი, *ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე,* (თბილისი: საკონსტუტიციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1, 2018), გვ. 43-53.

თავი II. ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის დამაბრკოლებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი და ინსტიტუციური გამოწვევები ეუთოსა და ნატოში

მსოფლიოში პოლიტიკური პროცესების განვითარებისა და გლობალიზაციის დონის მუდმივი ზრდის ფონზე, დღითი დღე აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. სახელმწიფოთა სუპრანაციონალური კავშირები, პირველ რიგში, სწორედ ისეთი გლობალური პრობლემების დაძლევას ემსახურება, რომელთა წინაშეც ერი-სახელმწიფოები მარტონი უძლურნი არიან. როგორც სამართლის დოქტორი ანა ფირცხალაშვილი აღნიშნავს „სახელმწიფოები სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობის ხარჯზე, ინტეგრირდებიან საერთაშორისო თანამეგობრობაში. სუვერენიტეტის ამ „ნაწილის“ დათმობა, შესაძლოა ზოგჯერ კონსტიტუციური, ეროვნული იდენტობის შეზღუდვასაც კი წარმოადგენდეს. სწორედ, ეროვნული იდენტობის კონტროლი არის წყალგამყოფი ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის. დღეს თანამედროვე სახელმწიფოს ყველაზე დიდი გამოწვევაა, იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი ისე, რომ შეინარჩუნოს თავისი კონსტიტუციის ეროვნული იდენტობა.“[33]

სუპრანაციონალური თეორიის თანახმად, სახელმწიფოები ერთიანდებიან რადგან მათ წინაშე დგება ისეთი გამოწვევები და საფრთხეები რომელთან გამკლავებაც კოლექტიური ძალისხმევით უფრო ეფექტიანი იქნება. ასეთ საფთხეებს მიეკუთვნება, სწორედ, ასიმეტრიული საფრთხეები. მართალია ეუთო და ნატო თავდაპირველად არ შექმნილა ამგვარ საფრთხეებთან საბრძოლველად, მაგრამ დღეს მისი ყველა წევრი აღიარებს რომ ტერორიზმი, კიბერომი, ასევე მასობრივი, ბირთვული თუ ბიოლოგიური იარაღის გავრცელება მიეკუთვნება სწორედ იმ საფრთხეებს რომელთან საბრძოლველადაც საჭიროა სუპრანაციონალური კავშირები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციებს გაჩნიათ უკვე ათწლეულების ისტორია საერთო საფრთხეებთან ბრძოლის კუთხით, დღეს ისინი დგანან ისეთი

[33] ანა ფირცხალაშვილი, *ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე,* (თბილისი: საკონსტუტიციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1, 2018), გვ. 43-53.

პრობლემების წინაშე, რომელთან გამკლავებაც გამოწვევად იქცა თითოეული მათგანისთვის. რიგ ორგანიზაციებში წარმოიშვა ეროვნულ ინტერესთა კონფლიქტი, სამართლის ნორმების გადახედვის საჭიროება და ა.შ. ანალოგიურად წლების განმავლობაში ნატოსა და ეუთოშიც დადგა გარკვეულ საკითხეების გადახედვის და მათი სტრატეგიების ახალი გამოწვევების შესაბამისად ტრანსფორმაციის დრო. ამიტომ, მნიშვნელოვანია უკეთ გავერკვიოთ თუ რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილებების დადგომის საჭიროება.

2.1. ეროვნულ-პოლიტიკური ფაქტორები ნატოს წევრი ქვეყნებისთვის ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში-მეტოქეობა თუ თანამშრომლობა?!

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია მრავალი წლის მანძილზე უზრუნველყოფდა ევროპის უსაფრთხოებას, თუმცა, დღეს იგი დგას არაერთი გამოწვევის წინაშე და ხშირად ხდება ხოლმე კრიტიკის ობიექტი. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და რადიკალურად შეცვალა აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ხედვა ცალკეულ საკითხებისადმი და ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ევროპასთან ურთიერთობა.

შედეგად, ნატოსთვის დიდ გამოწვევად იქცა ამერიკა და პრეზიდენტ ტრამპის განცხადებები ორგანიზაციის მიმართ. როგორც ნიკოლას ბერნსი და დუგლას ლუტი აღნიშნავენ, ამერიკის მანამდე არსებული თითქმის ყველა პრეზიდენტი ხელს უწყობდა ევროპის, როგორც მთლიანობის ძლიერებას ვინაიდან ეს შედიოდა ამერიკის ინტერესებშიც, თუმცა დღეს ტრამპი არის პირველი პრეზიდენტი, რომელიც ეროკავშირს განიხილავს როგორც ეკონომიკურ მეტოქეს და არა პარტნიორს.[34] შესაბამისად, ჩნდება კითხვები თუ რა უნდა

[34] Nicholas Burns and Douglas Lute, "NATO at Seventy: An Alliance in Crisis", *Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School,* February 2019, (Accessed May 20, 2020), P.1. https://www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis

ამერიკას დღეს?! რა უნდა ევროპას?! და ამოძრავებთ თუ არა მათ, კვლავ, საერთო მიზნები?!

ნატოს წევრ ქვეყნებში გაიყო შეხედულებები თავად ნატოს მიზნებსა და ამოცანებს შორის, იგი უნდა დაუბრუნდეს აღმოსავლეთში ტერიტორიების დაცვას, იბრძოლოს ტერორიზმისა და ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ სამხრეთში თუ შეაკავოს რუსეთისაგან წამოსული საფრთხე?! როგორც დონალდ ტრამპმა განაცხადა, „მომავლის ნატო ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს ტერორიზმსა და იმიგრაციაზე, აგრეთვე საფრთხეზე, რომელსაც რუსეთი ქმნის ნატოს აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან“[35].

გარდა აღნიშნულისა, ნატოს წევრ ქვეყნებს შორის არსებობს გამუდმებული დავა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს გადანაწილებული პასუხისმგებლობა სახელმწიფოებს შორის, როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური. წევრ სახელმწიფოთა ბიუჯეტიდან თავდაცვის ხარჯებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-იანი განაკვეთის დადგენა უკვე მრავალი წელი არის დებატების საგანი. ამის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ გერმანია, თუმცა, საბოლოოდ, 2014 წლის უელსის სამიტზე იგი დაეთანხმა შეთანხმებას, რომ 10 წლის განმავლობაში თანდათანობით გაზრდილიყო მისი დანახარჯი თავდაცვაზე და მიეღწია 2%იან ნიშნულს. ალბათ, გასაგებიცაა ეს მოთხოვნა სხვა სახელმწიფოების მხრიდან, კერძოდ ამერიკისგან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, გერმანია თავისი შემოსავლის მხოლოდ 1.24%-ს ხარჯავდა თავდაცვაზე, ამერიკა კი 3.5%-ს.[36]

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, ბევრი იფიქრებს, რომ, იმ სახელმწიფოების როლი მსოფლიოს უსაფრთხოების შენარჩუნებაში, რომლებიც აკმაყოფილებენ თავდაცვის ხარჯებზე გაწეულ 2%-იან ნიშნულს, აღემატება თავდაცვაზე ნაკლები დანახარჯების მქონე სახელმწიფოებისას. თუმცა, რეაულურად, შეიძლება, სულაც

---

[35] ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული, *რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?* (თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018), გვ.9.

[36] Nicholas Burns and Douglas Lute, “NATO at Seventy: An Alliance in Crisis”, *Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School,* February 2019, (Accessed May 20, 2020), P.1. https://www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis

არ იყოს ასე. მაგალითად, საფრანგეთი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელიც ნატოში სამაგალითოა თავდაცვისთვის გაწეული ხარჯებით, მაგრამ მისი წვლილი ნატოს ოპერაციებში საკმაოდ მცირეა და სხვა ქვეყნებისას ვერც კი შეედრება. კერძოდ, „ავღანეთში ISAF-ის ფარგლებში მიმდინარე „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ ოპერაციაში, დღეისათვის, არცერთი ფრანგი არ მონაწილეობს. „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში ბრიტანეთის წვლილი კი გერმანიის მიერ უზრუნველყოფილი ცოცხალი ძალის ნახევარს შეადგენს“.[37]

გარდა ამისა, ყველა აღიარებს ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის საჭიროებას, მაგრამ რა გზით უნდა მოხდეს ეს? ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად? ეს განსაკუთრებით სადავო საკითხი არის როდესაც ეხება კიბერ სივრცეს. სხვა ტიპის საფრთხეებთან ბრძოლისას, მეტ ნაკლებად, ყველა სახელმწიფო თანხმდება, რომ აუცილებელია ინფორმაციის გაცვლა, კოორდინირებული მოქმედება და საერთო ზომების მიღება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ისეთი ტიპის თავდასხმები, როგორიც იყო 9/11-ის შემთხვევა.

თუმცა, როდესაც კიბერ სივრცეზე ვსაუბრობთ მასთან ბრძოლის მეთოდები ყველასთვის ერთგვარი როდია. სოციალურ მედიაზე თუ სხვა ინტერნეტ საშუალებებზე შეზღუდვების დაწესება, როგორ წესი, პოლიტიკურად წამგებიანი ნაბიჯი გახლავთ და მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ ასიმეტრიულ საფრთხეს სახელმწიფოსათვის, მაინც ყველა მთავრობა ერიდება რადიკალური ზომების მიღებას ამ სფეროში. მასზე შეზღუდვებს უპირისპირებენ სიტყვის თავისუფლებას თუ სხვა მრავალ დემოკრატიულ ღირებულებას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ნატოს ზოგიერთი სახელმწიფო მაინც არ ერიდება რადიკალური ზომების მიღებას. ამ მხრივ, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მისი სამი წევრი სახელმწიფოს-პოლონეთის, უნგრეთისა და

[37] ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული, *რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?* (თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018), გვ. 16.

თურქეთის- მიერ გარკვეული დემოკრატიული უფლებების, როგორიცაა სიტყვის და პრესის თავისუფლების, ასევე დამოუკიდებელი სასამართლოს შეზღუდვა.

ნატო, გარდა იმისა, რომ არის სამხედრო პოლიტიკური კავშირი იგი, პირველ რიგში, წარმოადგენს დემოკრატიულ ალიანსს, შესაბამისად ამ სახელმწიფოების ქმედებები საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებებს- დემოკრატიას, იდივიდუალურ თავისულებასა და სამართლის უზენაესობას, რომელიც დაცული არის ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულებაში.

თავისუფლების სახლის მონაცემებით ნატოს წევრ ქვეყნებში პოლიტიკური და ადამიანის უფლებების დაცვა ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა, რაც გამოხატული არის მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 4).[38] ლურჯი ხაზით გამოსახული არის ნატოს წევრ ქვეყნებში პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფის დონე, ხოლო ყავისფერით კი- სამოქალაქო უფლებების.



გრაფიკი 4.თავისუფლების სახლის მონაცემები ნატოს წევრ ქვეყნებში პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დაცვაზე

შესაბამისად, ორგანიზაცია დგას ისეთი ტიპის გამოწვევების წინაშე, რომელთა დაძლევაც აუცილებელია საერთო ინტერესებისათვის საბრძოლველად. თუმცა, სირთულეები არსებობს ასევე ორგანიზაციის გარეთ ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში.

[38] Nicholas Burns and Douglas Lute, "NATO at Seventy: An Alliance in Crisis", *Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School,* February 2019, (Accessed May 20, 2020), P.1. https://www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis

მოგეხსენებათ, რომ ნატო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ძლიერი კონვენციური ძალები და ისინი საკმაოდ ეფექტიანები არიან სახმელეთო თუ საჰაერო თავდასხმებში, წვრთნებში, საზღვაო მეთვალყურეობაში თუ სხვა, მაგრამ ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიები არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ სამხედრო მოქმედებებზე. როგორც არეგუინ-ტოფტმა აღნიშნა, დღეს მატერიალური ძალა აღარ არის გადამწყვეტი ომების მოსაგებად.

ამის ნათელი მაგალითი არის ნატოს ოპერაცია ავღანეთში. ამერიკის სავაჭრო ცენტრზე თავდასხის შემდეგ „გაეროს უშიშროების საბჭოს 1368-ე რეზოლუციით პირდაპირ არის აღიარებული, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია თავდაცვა განახორციელოს გაეროს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე. ვინაიდან „ალ-ქაიდას“ ტერორისტულ ქსელზე პასუხისმგებელმა პირებმა, რომლებმაც ტერორისტული აქტები განახორციელეს, თავშესაფარი ავღანეთში, თალიბანის მმართველი რეჟიმის ფრთის ქვეშ მიიღეს“[39]. მაგრამ, ავღანეთში შესვლის შემდეგ, ისინი წააწყდნენ უამრავ პრობლემას, რადგან მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ისეთი ასიმეტრიული ბრძოლებისთვის, როგორიც იყო პარტიზანული ომები, ტერორისტული თავდასხმები და ა.შ.

საბოლოოდ, რა შედეგი იქონია ამ მისიამ? აღკვეთა მან ტერორიზმი ავღანეთში? ფაქტი სახეზეა, რომ მათ იმაზე მეტ ხანს მოუწიათ ავღანეთში დარჩენა, ვიდრე ვარაუდობდნენ, რადგან ახალი ტიპის საფრთხესთან გამკლავება არც ისე ადვილი აღმოჩნდა როგორც ვარაუდობდნენ.

ამრიგად, მსოფლიოსა და ნატოში შექმნილი სიტუაცია გამოწვევად იქცა, როგორც თითოეული სახელმწიფოსთვის ასევე მთლიანად ალიანსისთვისაც. ბოლო ათწლეულებში მიმდინარე მრავალმა კონფლიქტმა აჩვენა, რომ მხოლოდ კონვენციური ძალების არსებობა და მათი წრთვნა არ არის საკმარისი ასიმეტრიულ ომში. ნაშრომის დასაწყისში მოყვანილი დავითისა და გოლიათის

[39] ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული, *რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?* (თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018), გვ. 10.

მაგალითის მსგავსაც, დღეს პატარა პარტიზანულ ან ტერორისტულ ჯგუფებს შეუძლიათ ისეთი ზიანის მიყენება, რომელიც გამოიწვევს ძლიერი მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციასა და საბოლოოდ დამარცხებას. ამას გარდა, ნატო, რომელიც მანამდე მოქმდებდა ფიზიკურ განზომილებაში, დღეს აღმოჩნდა ახალ საომარ ველზე-კიბერ სივრცეში, სადაც კონვენციური ძალები უძლურია და საჭირო გახდა ახალი სტრატეგიის შემუშავება.

იმისათვის, რომ ეფექტიანი იყოს ორგანიზაციის ბრძოლა ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ, წევრ სახელმწიფოთა ერთიანობა საჭიროა ისე, როგორც არასდროს, რასაც აბრკოლებს შიდა პრობლემები და გამოწვევები.

დღეს არსებული პანდემიის ფონზე, ყურადღება არის გასამახვილებელი იმაზე, რომ დღითი დღე მატულობს სოციალურ მედიაში ევროსკეპტიკური შეხედულებები. აღნიშნულმა კრიზისმა საშუალება მისცა მათ გარკვეული პროვოკაციული სტერეოტიპების გავრცელებისათვის, იქნება ეს იტალიის მიტოვება და გაწირვა დანარჩენი ევროპის მიერ თუ სხვა. მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სიმართლეს და დღეს ევროპული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ყველა ორგანიზაცია თუ თანამეგობრობა ჩართული არის სწორედ ამ კრიზისთან ბრძოლაში. აღნიშნულმა პანდემიამ ნათლად დაანახა ევროპის სახელმწიფოებს კოლექტიური მოქმედებებისა და თანამშრომლობის აუცილებლობა ისეთი ტიპის საფრთხეებთან საბრძოლველად, რომელთა წინაშეც მარტონი უძლურნი არიან.

2.2. ეუთოს კომპეტენცია ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში და ინსტიტუციური გამოწვევები

„ისტორია განსჯის ამ კონფერენციას არა იმით, რასაც ჩვენ დღეს აქ ვიტყვით, არამედ იმით, რასაც გავაკეთებთ ხვალ, არა იმ დაპირებებით, რასაც განვაცხადებთ, არამედ, იმ დაპირებებით, რომელსაც შევასრულებთ“-ეს სიტყვები წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯერარდ ფორდმა

ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელმოწერისას 1975 წელს, და ევროპას დაჰპირდა კონფლიქტების თავიდან აცილებას, კრიზისების მართვას, ადამიანის უფლებათ დაცვას და რაც მთავარი იყო იმ დროისათვის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის „ცივი ომის“ შედეგად არსებული დაძანულობის აღმოხვრას. აღნიშნული დოკუმენტი გახდა ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ორგანიზაციის დასაბამი, რომელიც თავდაპირველად ფუნქციონირებდა, როგორც კონფერენციებისა და შეხვედრების ფორუმი და იგი მართლაც გახდა მოლაპარაკებების ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაგრამ, ისტორიამ ასევე დაგვანახა, რომ ყველა ორგანიზაცია თუ სისტემა გარკვეული დროის შემდეგ განიცდის კრიზისს საერთაშორისო აქტორების ან მოვლენების ცვლილებისა თუ შიდა გამოწვევების გამო.

ეუთოს არსებობის მანძილზე, პირველი ასეთი კრიზისი დადგა ცივი ომის დასრულების შემდეგ. 1990 წლის პარიზის კონფერენციაზე, წამოიჭრა მისი ტრანსფორმაციის საკითხი და შემდგომში იგი ჩამოყალიბდა, როგორც ორგანიზაცია, რომელსაც უნდა ეპასუხა ევროპის ახალი გამოწვევებისათვის. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარმა გარკვეულმა ცვლილებებმა შეამცირა მისი როლი ევროპის უსაფრთხოების უზრუველყოფის საქმეში და ეს უმეტესად იკისრეს ნატომ და ევროკავშირმა. კერძოდ, რუსეთი გახდა ევროპის საბჭოსა და დიდი შვიდეულის წევრი, ასევე ჩამოყალიბდა ნატო-რუსეთის საბჭო. შესაბამისად, რუსეთისათვის ის ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა დასავლეთთან დიალოგისთვის და ეუთოს ყოველწლიური ბიუჯეტი შემცირდა კიდეც 25 პროცენტით.[40]

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ კი, საქართველოსა და განსაკუთრებით უკრაინის კრიზისმა კვლავ გაზარდა მისი, როლი როგორც მედიატორისა. თუმცა, რეფორმების გატარება კვლავ საჭირო გახდა. სწორედ, ამიტომ 2012 წელს მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე დუბლინში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ მიეღოთ ინსტიტუციური რეფორმები ცნობილი, როგორც „ჰელსინკი

[40]Organization for security and co-operation in Europe , *“The OSCE and contemporary security challenges: A collection of essays*,” (Mission to Serbia, 2016), P. 25.

+40“. ამ პროცესის მიზანი იყო ხელახლა გადაეხედათ საფრთხეებისადმი მათ მიდგომას და ემოქმედათ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

თუმცა, სულ მალე, უკრაინის კონფლიქტის დაწყებისთანავე, მისი როლი ევროპაში განსაკუთრებით გაიზარდა. დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობამ ამ პერიოდში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია ცივი ომის შემდეგ. სპენსერ ოლივერის თქმით, ყველაფერი უნდა იქნას გაკეთებული რათა უკრაინა არ გახდეს ახალი „ბერლინის კედელი“ რუსეთსა და დასავლეთს შორის.[41]

შექმნილი სიტუაციის ფონზე ეუთო აღმოჩნდა ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც მისაღები იყო ყველა მხარისათვის დიალოგის წარმართვისათვის. იგი კვლავ გახდა საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური მონაწილე და ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო სუბიექტი.

დღეს, ეუთოს წინაშე დგას არა მხოლოდ უკრაინის კრიზისი, არამედ, სხვა ისეთი ტრანსნაციონაური საფრთხეები, რომელთან გამკლავებაც უწევთ ევროპის სახელმწიფოებს. კერძოდ ტერორიზმი, კიბერ თავდასხმები, იარაღით ვაჭრობა, მასიური განადგურების იარაღის გავრცელება და სხვა ისეთი ტიპის საფრთხეები, რომლებიც გლობალურ სამყაროში ადვილად სცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს.

აღსანიშნავია, რომ ეუთო არამხოლოდ უკრაინის შემთხვევაში აღმოჩნდა საუკეთესო პლატფორმა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაპირისპირებული მხარეების შესაკრებად, არამედ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დარეგულირებიაშიც დიდი როლი ითამაშა. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს ევროკავშირსა და გაეროსთან ერთად, მათ შეძლეს პირისპირ დიპლომატიური შეხვედრები გაემართათ რუსეთის, საქართველოს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლებს შორის.

[41] Spencer Oliver, „Time for a new OSCE Strategy?“, Organization for Security and Co-operation, July 7, 2015, (Accessed May 25, 2020), P.1. https://www.osce.org/magazine/171786

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ უკვე მრავალჯერ შეასრულა მედიატორის როლი, სხვადასხვა კრიზისების დროს, მასაც გააჩნია გარკვეული ბარიერები და ინსტირუციური გამოწვევები, რაც ზოგჯერ წინაღობად იქცევა მისთვის, ზოგჯერ კი პრივილეგიად.

იგი სხვა ორგანიზაციებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მისი ოფიციალურად დაამარსებელი დოკუმენტი არ არსებობს, რაც დაუწესებდა მონაწილე სახელმწიფოებს სამართლებრივ ვალდებულებებსა და ასევე ორგანიზაციას მიანიჭებდა კომპეტენტურ იურიდიულ სტატუსს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესაძენად. ამიტომ ეუთოს ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებული არის მასში მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკურ სურვილსა და ჩართულოაზე. მისთვის ფუნდამენტურია ამ სახელმწიფოებს შორის ნდომის არსებობა და შიდა კონფლიქტების აღმოფხვრა.

უფრო მეტიც, დამარსებელი დოკუმენტის არარსებობის გამო, ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო მას არც კი განიხილავს, როგორც ორგანიზაციას, არამედ მიიჩნევენ ინსტრუმენტად მშვიდობისა და უსაფრთხოების შენების პროცესში. თუმცა, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ დამაარსებელი ხელშეკრულებისა და მასში მონაწილე სხელმწიფოების იურიდიული ვალდებულებების არარსებობა დადებითან მოქმედებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და უფრო მეტად მოქნილს ხდის მას.

გამომდინარე იქიდან, რომ ეუთოს საქმიანობა მთლიანად სახელმწიფოთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მისი ბიუჯეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემას. მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 80% იხარჯება საველე ოპერაციებში. უკრაინა არის ამის ნათელი მაგალითი. 2014 წლის მინსკის შეთანხმებდე უკრაინის მისიის დასაფინანსბლად 2 მილიონი ევრო ყოვლეთვიურად გამოიყოფოდა ეუთოს სარეზერვო ფონდიდან, მაშინ, როდესაც

ორგანიზაციის ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენს 46.8 მლნ ევროს. შესაბამისად, ისმის კითხვა თუ როდემდე შეძლებს იგი აღნიშნული მისიის დაფინანსებას?![42]

ეუთოს 2013 წლის „უსაფრთხოების დღეების“ შეხვედრისას, რომელიც ჩატარდა ვენაში და 400ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა, განიხილეს თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების გარემო, როგორც მის რეგიონში ისე მის სამეზობლოში. რამდენიმე გამოწვევა იქნა გამოკვეთილი. რეიმონდ რუბლოვსკის სტატიის მიხედვით, პირველი ეს გახლდათ ნდობის ნაკლებობა ეუთოს წევრ სახელმწიფოებს შორის, გამომდინარე მათი განსხვავებული ზომის, გეოგრაფიული მდებარეობის თუ ისტორიული განვითარების ეტაპიდან. ასევე მათ მიერ აბსოლიტურად განსხვავებული შეფასებების არსებობა საფრთხეების მიმართ გახლდათ უნდობლობის ერთ-ერთი წყარო. მეორე გამოწვევად იგი გამოყოფს ეუთოს შიგნით რამდენიმე სახელმწიფოს საგრძნობ დასუსტებასა და მდგრადობას, რაც ზრდიდა შიდა პრობლემებს ორგანიზაციაში.[43]

საზოგადოების ნაწილის მიერ ასევე ისმის კრიტიკა, რომ ამჟამად არსებული საფრთხეები, როგორიც არის კიბერ ომი, ტერორიზმი თუ სხვა, არ არის ის, რასთან საბრძოლველადაც შეიქმნა ეუთო. მაგრამ, ამ ლოგიკიდან გამომდინარე, დღეს თითქმის ყველა ორგანიზაციაზე იგივეს თქმა შეიძლება. ამიტომ იმის თქმა, რომ მან ამოწურა თავისი მისია და შესაძლებლობები იქნება უტოპია , რადგანაც ასეთი ტიპის უსაფრთხოების ორგანიზაციები როლი და ეფექტიანობა მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება თუ რამდენად აღკვეთს იგი ამჟამად არსებულ კრიზისებს, არამედ, მომავალში ახალი გამოწვევების აღმოფხვრის შესაძლებლობებშიც, რაც მოითხვს საფრთხეებისადმი მუდმივად ახალ მიდგომას. მოგეხსენებათ, რომ არც ეუთო და არც ნატო არ გახლავთ სტატიკური ნივთიერება ან საგანი რომ უცვლელი დარჩეს დროსა და სივრცეში. ამიტომ საფრთხეების დივერსიფიცირებასთან

[42] Organization for security and co-operation in Europe, “The OSCE and contemporary security challenges: A collection of essays,” (Mission to Serbia, 2016), P. 105.
[43] Raimonds Rublovskis, “The Challenges of OSCE within Global Security Environment of the 21st Century”, *Latvian Institute for International Affairs,* June 25, 2013, (Accessed June 10, 2020), P.1. https://www.lai.lv/viedokli/the-challenges-of-osce-within-global-security-environment-of-the-21st-century-295

ერთად ორგანიზაციამაც უნდა მოახდინოს ტრანსფორმაცია და მათ შესაბამისად მოქმედება.

როგორც რეიმონდ რუბლოვსკი აღნიშნავს „მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების ფონზე, ეუთომ უნდა მოახდინოს ატაპტირება ახალი გამოწვევების შესაბამისად ან გაუჩინარდეს“[44].

ამრიგად, შექმნის დღიდან ამ დრომდე ეუთოს ისტორიაში მუდმივად მერყეობდა პერიოდები, როდესაც იგი კარგავდა ან იძენდა მნიშვნელოვან როლს ევროპაში. დღეს მას უდავოდ აკისრია მნიშვნელოვანი მისია ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შექმნილი ასიმეტრიული საფრთხეების ფონზე სახელმწიფოთა თანამშრომლობა ყოველდღე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეუთოს ხელში არსებული „მოლაპარაკებების მაგიდა“ კიდევ დიდი ხნით დარჩება საჭირო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ იქნა განხლული, ასიმეტრიული საფრთხეები მოითხოვს მათ მიმართ ყოვლისმომცველი სტრატეგიების შემუშავებას და მხოლოდ სამხედრო სტრატეგიები აღარ არი ეფექტიანი. ეუთო კი გამოირჩევა საფრთხეებისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მას გამოარჩევს კიდეც სხვა ორგანიზაციებისაგან. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო თუ ეკონომიკური სტრატეგიებით და მას გააჩნია უსაფრთხოების სამი მიმართულება: სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკურ-გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებები. მაგრამ მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ როგორ ხდება ამის განხორციელება პრაქტიკაში და რა ბერკეტები გააჩნიათ მას ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში ზემოთ აღნიშნული გამოწვევების ფონზე.

---

[44] Raimonds Rublovskis, “The Challenges of OSCE within Global Security Environment of the 21st Century”, *Latvian Institute for International Affairs,* June 25, 2013, (Accessed June 10, 2020), P.1. https://www.lai.lv/viedokli/the-challenges-of-osce-within-global-security-environment-of-the-21st-century-295

თავი III. ეუთოსა და ნატოს როლი ასიმეტრიული საფრთხეების აღკვეთის საქმეში და მათ ხელთ არსებული ბერკეტები ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

21-ე საუკუნეში ევროპისა და ზოგადად უსაფრთხოების ცნება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს საზღვრებით და მისი მიღწევა შესაძლებელია რეგიონალური თანამშრომლობის გზით. ასიმეტრიულ და სხვა ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან ბრძოლა წარმოადგენს მათ საერთო ინტერესს და სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშორომლობის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო ათეული წლების წინ.

საერთო ინტერესებთან ერთად ეუთოსა და ნატოს აერთიანებთ კიდევ უფრო ძლიერი შემაკავშირებელი საერთო ღირებულებები. ორივე მათგანი დაფუძნებულია დემოკრატიული ღირებულებების, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე. სწორედ ამიტომ, მიუხედავად მათ წინაშე თუ თავად ორგანიზაციის შიგნით მდგარი არაერთი გამოწვევისა, ისინი კვლავ ახერხებენ საერთო საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლასა და ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კონცეფცია ახლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა და როგორც რიჩარდ კოენი განმარტავს, ეს განპირობებული არის საერთო საფრთეების აღიარებით. დღეს, ფართოდ გავრცელებული კოლექტიური უსაფთხოებისა და თავდაცვის სისტემის შექმნა განაპირობა მსოფლიოს წესრიგში ახალი ტიპის საფრთხეების გაჩენის პროცესმა, როგორიცა მაგალითად ტერორიზმის გლობალიზაცია, კიბერტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღისა თუ პანდემიების გავრცელება.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითია 9/11-ის ტერორისტული თავდასხმა ამერიკაზე. სწორედ, აღნიშნული თავდასხმის შემდეგ ამოქმედდა, პირველად ისტორიაში, ნატოს მე-5 პუნქტი კოლექტიური თავდაცვის შესახებ და ამით

ნათელი გახდა, რომ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოებამ შეაბიჯა ისეთი ტიპის საფრთხეების ეპოქაში, სადაც ინდივიდუალური ბრძოლა მათ წინაშე ამაო იქნებოდა.

„როგორც რიჩარდ კოენი განმარტავს, ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშრომლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. თუმცა, მისი აზრით, ყველზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ.“[45]

ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებში ნათლად დავინახეთ, რომ ორივე ორგანიზაციის ერთ-ერთი პრობლემა გახლდათ ბიუჯეტი, თუმცა როგორც რიჩარდ კოენი აღნიშნავს „მიუხედავად იმისა, რომ კავშირში გაწევრიანებით, ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო მეტ რესუსრს ხარჯავს, ზოგიერთი უფრო მეტად ღებულობს სარგებელს, საბოლოო ჯამში ისინი აცნობიერებენ, რომ ერთმანეთის გარეში საერთო საფრთხეს ვერ გაუმკლავდებიან.“[46]

ნატოსა და ეუთოში დღემდე მრავალი შეთანხმება, ხელშეკრულება, თუ სხვა დოკუმენი არის მიღებული ასიმეტრიული საფრთხეების აღკვეთის მიზნით, თუმცა, რამდენად ეფექტურად ხდება მათი პრაქტიკაში გატარება ამას კიდევ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

---

[45] ვახტანგ მაისაია და გუგული მაღრაძე, *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი საფრთხეების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონული და გლობალური ასპექტები,* (თბილისი: უნივერსალი, 2017), გვ. 86.
[46] იქვე., გვ. 86.

3.1. ნატოს სტრატეგია ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლაში

ასიმეტრიული საფრთხეების ცალკეული სახეები ახალი ხილი არ არის მსოფლიოსათვის, მაგრამ ნატომ მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ 2001 წლის 9/11-ის ტერორისტული აქტის შემდეგ გაამახვილა. მიმუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის ტერორიზმს მანამდეც ჰქონდა ადგილი ევროპასა თუ ამერიკაში, მხოლოდ ნატოს 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში განისაზღვრა ტერორიზმი, როგორც ალიანსისა და გლობალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი დიდი საფრთხე. 2017 წლის ბრიუსელის სამიტზე კი მიიღებულ იქნა გადაწვეტილება, რომ, შეუერთდებოდა გაერთიანებულ ანტიტერორისტულ ალიანსს. მართალია, ნატოს თითქმის ყველა სახელმწიფო უკვე იყო ამ ალიანსის წევრი ინდივიდუალურად, თუმცა, იგი, როგორც ორგანიზაცია, მასში არ მონაწილეობდა.

ნატოს სამხედრო კოცეფციაში ტერორიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასიმეტრიულ საფრთხეს როგორც ალიანსისათვის, ასევე გლობალური უსაფრთხოებისათვის. ამიტომ, 2012 წელს შემუშავებული იქნა კონტრტერორისტული მოქმედებების გაიდლაინი, სადაც, განსაკუტრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სამ საკითხზე.

პირველი, ეს გახლდათ ტერორიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც გულისხმობდა ორგანიზაციის მიერ მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას, იქნება ეს სადაზვერვო ოპერაციებით თუ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული კომუნიკაციის განვითარებით. აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნება სახლემწიფოებს შორის შიდა თუ საგარეო, სამოქალაქო თუ სამხედრო დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაცვლას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ყველა შესაძლებლობისა თუ ზომის მიღება ტერორიზმთან საბრძოლველად. მაგალითად, მასთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სახელმწიფოებისათვის, ტრენინგების ჩატარება, მიღებული ანალიზისა და გაკვეთილების გაზიარება და ა.შ. აქ აღსანიშნავია, მისი საზღვაო

ოპერაციები „ზღვის მცველი“(Sea Guardian) და „აქტიური ძალისხმევა“(Active Endeavour). „აქტიური ძალისხმება“ ამოქმედებული იქნა ნატოს მე-5 მუხლის შესაბამისად 2001 წელს 9/11-ის ტერაქტის საპასუხოდ ოპერატიული ზომების მიღების მიზნით, რათა აღმოეჩინათ, შეეკავებინათ ან აღეკვეთათ ტერორიზმის საფრთხე ხმელთაშუა ზღვაში. იგი 2016 წელს ჩაანაცვლა მისიამ „ზღვის მცველი“ და მისი მიზანიც, ასევე გახლავთ სრული საზღვაო უსაფრთხოების მიღწევა და მათ შორის აღნიშნული ტერიტორიის ტერორიზმისგან დაცვა.

მესამე რეკომენდაციას წარმოადგენდა საერთაშორისო, რეგიონალური თუ ინდივიდუალურ დონეზე სახელმწიფოთა ჩართულობის გაზრდას კონტრტერორისტულ მოქმედებებში.[47] იგი მოუწოდებდა წევრ სახელმწიფოებს, ნატოსთან მათ ინდივიდუალურ სამოქმედო შეთანხმებებში კონტრტერორისტული საკითხებზე თანამშრომლობაც მოეაზრებინათ.

გამომდინარე იქიდან, რომ ტერორიზმთან საბრძოლველი საყოველთაოდ აღიარებული გზები არ არსებობს, ნატოს ერთ-ერთი პროგრამა, მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის (NATO Science for Peace and Security (SPS) Programme) მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ მეცნიერებსა და სხვადასხვა ექსპერტებს ტერორიზმის საფრთხის უკეთ გაანალიზებისა და საპასუხო ზომების შემუშავებისაკენ. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ვორქშოფებს, საწვრთნელ კურსებს, მრავალწლიან კვლევებსა და პროექტებს, რათა განსაზღვრონ საუკეთესო პრაქტიკები, ადამანური რესურსისა მნიშვნელობა და ტექნოლოგიების როლი ტერორიზმის დამარცხებაში.[48]

რაც შეეხება ტექნოლოგიებს, აღსანიშნავია, რომ „2002 წელს, მას შემდეგ რაც 1990 წლების ბოლოს ბალკანებზე სამხედრო ოპერაციის დროს განხორციელდა ქსელური შეტევები, ალიანსმა შეიმუშავა და გაუშვა კიბერ - დაცვის საკუთარი პროგრამა. ალიანსის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა „ბალკანეთის

[47] International Military Staff, “NATO’s military concept for defence against terrorism”, *The North Atlantic Treaty Organization,* August 19, 2016, ((Accessed May 11, 2020), P.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_69482.htm

[48] The North Atlantic Treaty Organization, “Countering terrorism”, December 10, 2019, ((Accessed May 10, 2020), P.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm

გაკვეთილები“, და 2002 წელს პრაღის სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ კიბერნეტიკული თავდაცვის პროგრამის შემუშავებასა და ინფორმაციულ ქსელებში ინციდენტებზე რეაგირების საკუთარი ჯგუფის (NCIRC) შექმნაზე. ჯგუფის საკოორდინაციო ცენტრი განთავსებულია ბრუსელში, ნატო - ს შტაბ - ბინაში, ხოლო ალიანსის სამეთაურო ოპერაციების მართვის შტაბში ორგანიზებულ იქნა NCIRC - ს ტექნიკური ცენტრი. მოცემული სტრუქტურის შექმნით, ალიანსმა გადაწყვიტა მთელი რიგი სირთულეები დაკავშირებული კიბერუსაფრთხოების საკითხებთან. კერძოდ, ნატო-ს კომპიუტერულ ქსელებში არასანქცირებული შეღწევისა და სხვა მავნებლობების აღმოჩენა და განეიტრალება, ასევე ქსელების კრიპტოგრაფიული დაცვის ეფექტური მართვის უზრუნველყოფა“.[49]

შემდგომში 2007 წელს ესტონეთის საჯარო და კერძო ინსტიტუტებზე კიბერ თავდასმებმა ცხადყო, რომ სააჭირო იყო კიდევ უფრო ეფექტიანი ზომების მიღება ამ სფეროში. ამიტომ, ტალინში შეიქმნა კომპიუტერული თავდაცვის სფეროში მოწინავე გამოცდილების გაცვლის ცენტრი (CCDCOE), ნატო - მ ასევე დააფუძნა კიბერ - თავდაცვის ღონისძიებების მართვის სპეციალური ორგანო (CDMA)34 , რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2008 წელს. ამ უკანასკნელის ფუნქციებში შედის ალიანსის კომპიუტერულ ქსელზე შეტევის შემთხვევაში „კიბერ - თავდაცვის ოპერატიული და ეფექტური ღონისძიებების“ ორგანიზება და კოორდინაცია.

2018 წელს ნატომ პირველად შეიმუშავა კიბერ თავდაცვის პოლიტიკა. კიბერსივრცე დღეს წარმოადგენს ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთ-ერთ განზომილებას და იგი აღიარებს, რომ საერთაშორისო სამართალი ვრცელდება კიბერ სივრცზეც.

2016 წელს ვარშავის სამიტზე ორგანიზაციამ აღიარა, რომ თავდაცვის სფეროში არსებული ოპერაციები უნდა მოიცავდეს კიბერ სივრცესაც და ნატომ

[49] ვლადიმერ სვანაძე, *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები* (თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015), გვ. 117.

უნდა იზრუნოს მისგან ეფექტურად თავდაცვაზე ისევე, როგორც ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ უსაფრთხოების ცნებამ შეიძინა მეოთხე განზომილება (თუ არ ჩავთვლით კოსმოსს). ჩამოაყალიბა სწრაფი რეაგირების ჯგუფი კიბერ სფეროში, რომელიც ყოველდღე 24 საათის განმავლობაში არიან მზად საჭიროების შემთხვევაში ალიანსის დასახმარებლად. თუმცა, სახელმწიფოებსაც მოუწოდა კიბერ თავდაცვის გაძლიერებისა და ეროვნული ქსელებისა თუ ინფრასტრუქტურისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭებისაკენ.

ნატოს კიბერ თავდაცვის პოლიტიკა განსაზღვრული არის მის სამოქმედო გეგმაში, რომელიც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, მის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას და სხვ. იგი ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს კიბერ თავდაცვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ალიანსის თავდაცვაში კიბერ თავდაცვის ელემენტის სრულ ინტეგრირებას.[50]

ამრიგად, ნატოს მიერ დღეს არაერთი ზომა იქნა მიღებული ასიმეტრიული საფრთხეების, კერძოდ კი ტერორიზმისა და კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ იყო კი ეს და სხვა მრავალი ქმედებები საკმარისი ამ საფრთხეების აღსაკვეთად?! ბოლო წლებში მომხდარმა ტერაქტებმა პარიზში, სტამბოლში, ნიცაში, ბრიუსელში, ბერლინში, სტოკჰოლმსა თუ მანჩესტერში ნათლად დაგვანახა, რომ ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლა არც ისეთი მარტივი იქნება, როგორც მანამდე არსებული სამხედრო დაპირისპირებების აღკვეთა.

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიები უპირატესად სამხედრო მოქმედებებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, როგორც ეს დღემდე ხდებოდა ავღანეთის, ერაყისა თუ სირიის ოპერაციებში. „ყველაფერს, რასაც წარმატებით აკეთებენ სამხედროები (საჰაერო თავდასხმები, საზღვაო მეთვალყურეობა, წვრთნები, იარაღით აღჭურვა, სპეციალური რაზმების მიზანმიმართული

[50] The North Atlantic Treaty Organization, „Cyber defence“, March 17, 2020, (Accessed April 9, 2020), P.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_78170.htm

შეტევები ან უპილოტო საფრენი აპარატებით თავდასხმების განხორციელება), შესაძლოა ხელი შეუწყოს ტერორიზმის შეკავებას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით კი, შეიძლება გარკვეული პერიოდით კიდეც აღკვეთოს იგი. მაგრამ მიზანი და ამოცანა უნდა იყოს უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით."[51]

რაც შეეხება კიბერ სივცრცეს, შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მაინც უძლური იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და დაცვის სისტემის განვითარების გარეშე. ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მართალია, წარმოშვა ახალი საფრთხე და უსაფრთხოების ახალი განზომილება, მაგრამ მასთან საბრძოველად ასევე ტექნოლოგიური განვითარება და თავდაცვა უნდა გახდეს საუკეთესო იარაღი.

მართალია ნატოს განმარტებით, საერთაშორისო სამართალი ვრცელდება კიბერ სივრცეზეც, მაგრამ საკითხავია თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს ის მაშინ, როდესაც თავდასხმის წყარო უცნობია?!

ყველაფრის მიუხედავად, ნატო დღეს მაქსიმალურად ზრუნავს ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მის ხელთ არსებული ბერკეტებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ორგანიზაციის ახალი სტრატეგიისათვის მომზადებულ ანალიზსა და რეკომენდაციებში პირველ რიგში აღნიშნულია, რომ ათწლეულების მანძილზე საკმაოდ შეიცვალა საერთაშორისო გარემო და ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული ახალი ტიპის საფრთხეებზე, როგორიცაა ტერორისტული ქმედებები, ატომური და სხვა მასობრივი გამანადგურებელი იარაღის გავრცელება, კიბერ თავდასხმები საკომუნიკაციო სისტემებზე, ენერგო მილების საბოტაჟი.

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ დღეს განსაკუთრებით გაიზარდა არაკონვენციური ძალების მხრიდან განხორციელებული შეტევები და მართალია, მათ შეიძლება არ მიაღწიონ იმ მასშტაბებს, რომ საჭირო გახდეს მე-5 მუხლის

[51] ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული, *რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?* (თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018), გვ. 13.

ამოქმედება, მაგრამ ნატომ უნდა გადახედოს თავის მიდგომას აღნიშნულ საფრთხეებთან საბრძოლველად.

გამომდინარე იქიდან, რომ ნატოს წინაშე დღეს იმდენად აღარ დგას მის საზღვრებზე კონვენციური თავდასხმის საშიშროება, რამდენადაც უხილავი თავდასხმები ალიანსის შიგნით ქვეყნებზე, საჭიროა ალიანსის ტერიტორიის დასაცავად ახალი სტრატეგიის შემუშავება. ექსპერტების აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული სამი ტიპის არაკონვენციურ საფრთხეზე: 1) ბალისტიკური იარაღით განხორციელებულ თავდასხმებზე; 2) საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე; 3) სხვდასხვა სიხშირის კიბერ შეტევებზე; [52] თუმცა, არც შესაძლო კონვენციურ სამხედრო აგრესია არ უნდა იქნას მათ მიერ მთლად უგულებელყოფილი.

3.2. ასიმეტრიული საფრთხეების აღქმა ეუთოში და მისი გამოცდილება

ასიმეტრიული საფრთხეები უგულებეყოფენ იმ ღირებულებებს, რაზეც არის დაფუძნებული ეუთო. ეს გახლავთ დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. ამიტომ, ეუთოს სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ იგი წარმოადგენენ საფრთხე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის და შიდა თუ გარე პრობლემების მიუხედავად საჭიროა მათ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კიბერ უსაფრთხოება, ტერორიზმთან ბროლა, საზღვრების უსაფრთხოება და კონტროლი და სხვ. მათგან განსაკუტრებული როლი უკავია ანტიტერორისტულ აქტივობებს,

[52] The North Atlantic Treaty Organization, „NATO 2020: Assured Security; Dynamic Engagement- Analysis and Recommendations of the Group of Experts on a New Strategic Concept for Nato“, May 17, 2010. (Accessed April 9, 2020), P.1. https://www.nato.int/strategic-concept/expertsreport.pdf

რომელიც ხორცილდება ეუთოს ტერორიზმთან ბრძოლის ინტეგრირებული ზომების მიხედვით (Consolidated Framework for the Fight against Terrorism). მის ფარგლებში, ორგანიზაცია ატარებს ყველანაირ ზომას, რათა აღკვეთოს რადიკალიზაცია და ექსტრემისტული ჯგუფების ჩამოყალიბება.

ორგანიზაციის ხედვა ტერორიზმისადმი დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ტერორისტთა რადიკალიზაცია დინამიური პროცესია, სადაც ინდივიდი ძალადობას აღიქვამს როგორც შესაძლო და ალბათ, ლეგიტიმურ ქმედებას. არ არსებობს ერთი შემთხვევა, რის მიხედვითაც აიხსნებოდა ყველა ტერორისტის რადიკალიზაცია, და არც კონკრეტული ერთი გზა არსებობს, რაც ინდივიდებს უბიძგებს ტერორიზმისაკენ.

შესაბამისად, ეუთოში უპირველეს გამოწვევად მიაჩნიათ იმ ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის აღკვეთა, რომელიც წინ უძღვის ტერორიზმს. თუმცა, მათივე აზრით რადიკალიზაცია არ ხდება ვაკუუმში და საფუძველი უნდა ვეძიოთ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საფუძვლებში, რომლებიც ქმნიან პირობებს კონკრეტული საზოგადოების ჯგუფის პროტესტისა და უკმაყოფილებისათვის.

ეუთოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ უსაფრთხოებისადმი ყოვლისმომცველი და თანამშრომლობითი მიდგომით უზრუნველყოს სახელმწიფოებში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, სამართლის უზენაესობის დამყარება და ასევე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის ხელშეწყობა, რაც, მათი აზრით, ნაკლებ უბიძგებს საზოგადოების წევრებს რადიკალიზაციისაკენ. ამას კი ახორციელებს მრავამხრივი მიდგომით. კერძოდ:

-სახელმწიფოებს ეხმარება შიდა სამართლის საერთაშორისო სამართალთან და ჰარმონიზაციაში ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით,

-სახელმწიფოებს დახმარებას უწევს, საერთაშორისო სამართლით ნაკისრ პასუხისმგებლობის შესრულებაში ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით. რაც

გულისხმობს იმას, რომ არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია იმუნიტეტი ტერორიზმთან მიმართებში, ამიტომაც საჭირო არის საერთო ძალისხმევა და მათი ვალდებულებებისა თუ უპირველესი პასუხისმგებლობის აღიარება ტერორისზმთან ბრძოლის კუთხით.

-აღკვეთს ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს ტერორიზმში. ამის მისაღწევად, ორგანიზაცია ეხმარება სახელმწიფოებს ეროვნული სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდობის სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის გაზრდაში.

-აღკვეთს ტერორისტული ჯგუფების დაფინანსებას გაეროსთან თანამშრომლობის, ასევე, სადაზვერვო სამსახურების, ფინანსური დაზვერვისა და სამართლის აღმასრულებელი ორგანოების დახმარების გზით.

-უპირისპირდება ინტერნეტის ტერორისტული მიზენბისათვის გამოყენებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერორისტები რეკრუტირებისათვის ხშირად იყენებენ ინტერნეტს. წინასწარ განზრახლად ავრცელებენ საზიანო ინფორმაციას და მანიპულირებენ საზოგადოებაზე. სწორედ, ამიტომ, ეუთო ხშირად ატარებს ტრენინგ კურსებს ამ თემაზე და ებრძვის დეზინფორმაციას.

-ხელს უწყობს სახელმწიფო და კერძო სექტორს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას შორის დიალოგისა და თანამშრომლობის არსებობას კონტრტერორისტულ საკითხებზე.

-უზრუნველყოფს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციიას აღსრულებას მასობრივი იარაღის განადგურების გაუვრცელებლობის შესახებ.

-აკონტროლებს სამოგზაურო დოკუმენტების უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს საზღვრის უკანონო კვეთისა თუ ყალბი პასპორტებისაგან დაცვას ევროპის. ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტი ამას ახორციელებს ეუთოს საზღვრის უსაფრთხების და დაგეგმარების სამსახურთან ერთად.

-უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვას კონტრტერორისტული ქმედებების გამხორციელების პროცესში.[53]

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენი, ეს გახლავთ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საფრთხეები, ანუ კიბერ სივრცეში არსებული გამოწვევები. მასზე განსაკუთრებული ყურადრება გაამახვილა სერბეთის რესპუბლიკამ ეუთოში მისი თავმჯდომარეობის წელს, ანუ 2015 წელს.

ჯერ კიდევ მანამდე, 2011 წელს, ეუთოს 56-მა სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, მხარი დაუჭირა რეზოლუციას კიბერ უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაძლიერებაზე. აღნიშნული რეზოლუცია მოუწოდებდა სახელმწიფოებს სამხედრო კონფლიქტის დროს კიბერ ტექნოლოგიათა მოწყობისა და ადეკვატური გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაცვლისაკენ. მათ ასევე სურვილი გამოთქვეს გაემართათ დისკუსია საერთაშორისო სამართალში არსებული სტანდარტებისა და კიბერ სივრცეში სხვადასხვა ოპერაციების ჩატარების შესახებ.

2013 წელს ეუთოში მიიღეს კიბერსფეროში სახელმწიფოთა ნდობის აღდგენის გეგმა (Confidence-Building Measures(CBMs) for Cyberspace), რაც მიზნად ისახავდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისაგან გამოწვეული კონფლიქტების შემცირებას. მთავარი, რაზეც სახელმწიფოები თანხმდებიან აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გახლავთ:

-მექანიზმის შექმნა, რაც სახელმწიფოებს მოუწოდებს კონსულტაციისაკენ მოსალოდნელი კიბერ ინციდენტებისა და მათი კონფლიქტში გადაზრდის აღკვეთის თაობაზე.

-პლატფორმის ჩამოყალიბება სხვადასხვა სახელმწიფოთა ხედვებისა და ეროვნული კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ერთმანეთისთვის გაზიარების

[53] Organization for Security and Co-operation in Europe, “DECISION No. 1063 -OSCE CONSOLIDATED FRAMEWORK FOR THE FIGHT AGAINST TERRORISM”, Permanent Council, December 7, 2012.

მიზნით. ასევე, აღნიშნული პლატფორმა დაეხმარება მათ უკეთ ამოიცნონ ერთი მეორის განზრახვები და მოსალოდნელი ქმედებები აღნიშნულ სფეროში.

-კონკრეტული სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დასაცავად. ასევე, სახელმწიფოთა დასახმარელად, რომ უზრუნველყონ კიბერ თავდაცვა მთლიანი ეუთოს რეგიონის უსაფრთხოებითვის.

ზემოთ აღნიშნულ ზომებთან ერთად, ეუთო და მისი ინსტიტუტები მნიშვნელოვან ყურადრებას აქცევენ არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარე კიბერ საფრთხეებს. მაგალითად, ბოლო წლებში ჩატარებული აქტივობებიდან განსაკუთრებული როლი უჭირავს იმ ანტიტერორისტულ აქტივობებს, რომლებიც აღკვეთენ ტერორისტების მიერ ტექნოლოგიების ბოროტი მიზნებისათვის გამოყენებას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისი მრავალპროფილურობიდან გამომდინარე. მოქმედების სამი სფერო- სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკურ გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებები- კომპეტენტურს ხდის მას, რომ მრავალი მიმართულებით განახორციელოს ეფექტური ღონისძიებები ასიმეტრიული საფრთხეების აღსაკვეთათ. ასევე, მისი, როგორც საუკეთესო პლტფორმის როლი ქვეყნებს შორის დიალოგისათვის, საშუალებას აძლევს განამტკიცოს რეგიონალური თუ საერთაშორისო თანამშრომლობა და ამ გზით აღკვეთოს ასიმეტრიული საფრთხეებისგან გამოწვეული კონფლიქტები დასაწყისშივე.

3.3. ეუთოსა და ნატოს თანამშრომლობა ევროატლანტიკურ სივრცეში ასიმეტრიული საფრთხეების აღკვეთის მიზნით

გამომდინარე იქიდან, რომ ეუთოცა და ნატოც წარმოადგენენ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციებს, ზოგჯერ ისინი განიხილებიან, როგორც ერთმანეთის კონკურენტები. ეს თემა აქტუალური გახდა „ცივი ომის“ შემდეგ. ამერიკა განსაკუთრებულად სკეპტიკურად იყო განწყობილი ეუთოს მიმართ, ვინაიდან ის მხარს უჭერდა ნატოს როლის დომინანტობას ევროპის უსაფრთხოების სისტემაში და ეუთოს განიხილავდა ბარიერად ამ მიზნის მისაღწევად.[54] შესაბამისად, 1990 წელს სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შეიკრიბებოდა წელიწადში მხოლოდ ერთხელ, მაგრამ, შემდგომში, იუგოსლავიაში, მოლდოვაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში განვითარებულმა კონფლიქტებმა ნათელი გახადა, რომ მისი როლი ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. არამედ, საჭიროებდა ტრანსფორმაციას ახალი გამოწვევების საპასუხოდ. ამიტომ 1995 წელს იგი ტრანსფორმირდა შეხვედრების ფორუმიდან ორგანიზაციამდე.

1999 წელს ეუთოს მისიის კოსოვოში განლაგების შედეგად, ნატოსთან ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა, ვინაიდან ნატოს ძალები უზრუნველყოფდნენ ამ რეგიონში საერთაშორისო საზოგადოების უსაფრთხოებას. 9/11-ის თავდასხმის შემდეგ კი უკვე ნათელი გახდა, რომ მათ მოუწევდათ ერთად ბრძოლა ახალი ტიპის საფრთხეების წინაშე.

2004 წლის ნატოს სტამბოლის სამიტის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატოსა და ეუთოს აქვთ ფართო საერთო პასუხისმგებლობა და ინტერესები გამომდინარე მათი ფუნციიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან. ნატო განაგრძობს ეუთოსთან თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთი მიმართულებებით,

[54] Jonathan Dean, “OSCE and NATO: Complementary or Competitive Security Providers for Europe?”, In: IFSH (ed.), OSCE Yearbook 1999, Baden-Baden 2000, pp. 429-434, (Accessed April 9, 2020), https://ifsh.de/file-CORE/documents/yearbook/english/99/Dean.pdf

როგორიცა კონფლიქტების პრევენცია, კრიზისების მართვა და პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაცია.

მათ შორის თანამშრომლობა დღეს მიმდინარეობს პოლიტიკურ და ასევე ოპერატიულ დონეზე შემდეგ საკითხებზე:

-ტრანსნაციონალურ საფრთხეებთან ბრძოლა, განსაკუთრებით ტერორიზმისა და კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით;

-საზღვრების ადმინისტრირება და კონტროლი;

-კონფლიქტების აღმოფხვრა და გადაჭრა;

-პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაცია;

-მსუბუქი და მცირე იარაღის გაუვრცელებლობა;

-ნდობისა და უსაფრთხოების აღმდგენი ღონისძიებები;

პოლიტიკურ დონეზე ისინი რეგულარულად ახორციელებენ შეხვედრებს გენერალური მდივნების დონეზე, სადაც ერთმანეთს უზიარებენ რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებს. შეხვედრები ტარდება ასევე მინისტრთა საბჭოსა და სამიტებზე.

1998 წლიდან ნატოსა და ეუთოს სამდივნოები რეგულარუად ატარებენ მათ პერსონალს შორის მოლაპარაკებებს. ამჟამად, იგი ტარდება ხოლმე წელიწადში ორჯერ. ეს შეხვედრები საშუალებას ძლევთ უფრო მეტად გააღმავონ კომუნიკაცია, გაცვალონ შეხედულებები და ინფორმაცია საერთო ინტერესის მქონდე საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საზღვრების უსაფრთხოება, იარაღის გაუვრცელებლობა, განიარაღება და იარაღის კონტროლი, უსაფრთხოების სექტორის რეფორმები, ენერგო უსაფრთხოება, კიბერ უსაფრთხოება, კონტრ-ტერორიზმი, გაერთიანებული ერების რეზოლუციის აღსრულება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ და სხვა.

რაც შეეხება, პრაქტიკულ თანამშრომლობას ნატოსა და ეუთოს შორის, იგი ყველაზე უკეთ არის წარმოჩენილი მათ მისიებში დასავლეთ ბალკანეთის ტერიტორიაზე. ამ რეგიონში ჩატარებული ოპერაციის ფარგლებში, ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებდნენ შეხვედრებს ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტების განხილვისთვის.

1996 წელს, ნატომ და ეუთომ განაზორციელეს საერთო მისია ბოსნია ჰერცოგოვინაში, სადაც ისინი ერთიანი ძალისხმევის შედეგად ცდილობდნენ დეიტონის შეთანხმებისა და ვენის დოკუმენტის აღსრულებას, კონვენციური ძალებისა და იარაღის კონტროლს, ასევე ნდობისა და უსაფრთხოების აღმდგენი ღონისძიებების გატარებას. გარდა ამისა, ნატოს ძალები იცავდნენ ეუთოს პერსონალს, რის საშუალებითაც მათ ხელი შეუწყეს ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

ამის შემდეგ გახლდათ კოსოვოს მისია, სადაც ნატოსა და ეუთოს კვლავ მოუწიათ პრაქტიკული თანამშრომლობა. იგი ეუთოს საველე ოპერაციებიდან ყველაზე მასშტაბური იყო და შესაბამისად, ნატოსგან დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, ვერ წარიმართებოდა. ამიტომ, გაეროს მანდატით კვლავ ნატოს დაეკისრა მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

დასავლეთ ბალკანეთში გატარებული ღონისძიებები აღმოჩნდა საერთო ინტერესის სფერო სასაზღვრო უსაფრთხოების კუთხითაც. 2003 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე დასავლეთ სახელმწიფოს 5-მა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა ევროკავშირის, ნატოსა და ეუთოს მიერ შეთავაზებულ საერთო პლატფორმის შექმნაზე. ასევე შეთანხმდნენ სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტზე, რომელიც მიზნად ისახავდა ამ რეგიონში საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

აღნიშნული ორგანიზების ინტერესები იკვეთება გენდერულ საკითხზეც. ისინი აღიარებენ კონფლიქტებისა და თუნდაც პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების არაპროპორციულ გავლენას ქალებზე. ამ კონტექსტში, ცილობენ

შეამცირონ ეს დისბალანსი, გაზარდონ ქალების ჩართულობა კონფლიქტების დარეგულირებასა და აღმოფხვრის სფეროში.

რაც შეეხება ასიმეტრიულ საფრთხეებს, როგორ ზემოთ იქნა აღნიშნული ნატო და ეუთო სხვა ტრანსნაციონალურ საფთხეებთან ერთად, თანამშრომლობენ კონტრ-ტერორისტულ და კიბერ უსაფრთხოების საკითხებზეც. მოეხსენებათ ამგვარი საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა პირველ რიგში იწყება ინფორმაციის გაცვლით. უფრო მეტიც, ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ამერიკის საშინაო და საგარეო უწყებებს შორის სათანადო კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა 9/11-ის თავდასხმა ვერც განხორციელებულიყო. მაგრამ იმისათვის, რომ ამგვარი გამანადგურებელი თავდასხმები აღარ განმეორდეს ნატო და ეუთო, ისევე, როგორც, ყველა სხვა ორგანიზაცია, შეთანხმდნენ ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობაზე, რათა შემდგომში სათანადო ზომები იქნას მიღებული ტერორისტული თავდასხმების აღსაკვეთად. ორივე ორგანიზაცია ამ კუთხით ხელმძღვანელობს გაეროს მიერ შემუშავებულ გლობალური კონტრ-ტერორისტული სტრატეგიისა და ასევე ტერორიზთან საბრძოლველი საერთაშორისო კონვენციებითა თუ პროტოკოლებით.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას გააჩნია მჭიდრო ურთიერთობა ეუთოს ტრანსნაიონალური საფრთხეების დეპარტამენტთან, კერძოდ კი ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილებასთან. ნატოს წარმომადგენლები ესწრებიან ეუთოს ყოველწლიურ კონტრ-ტერორისტულ კონფერენციას. ხოლო თავის მხრივ ეუთოც ასევე ესწრება ხოლმე შესაბამის შეხვედრებს ნატოში და ხელს უწყობს ნატოს კონტრ-ტერორისტული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების პროგრამების წარმართვას.[55]

[55] The North Atlantic Treaty Organization, "Relations with the OSCE", March 19, 2020. (Accessed June 15, 2020), P.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49911.htm#:~:text=NATO%20and%20the%20OSCE%20cooperate,the%20Women%2C%20Peace%20and%20Security

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს მათი თანამშრომლობა განპირობებული არის საერთო ინტერესებითა და საფრთხეების აღქმით. რაც არ უნდა ხშირად ისმოდეს კრიტიკა ამ ორგანიზაციების კონკურენტული ბუნების შესახებ, უდავოდ ნათელია, რომ დღეს ერთობლივი მოქმედებებით მათ უფრო მეტის მიღწევა შეუძლიათ, ვიდრე ინდივიდუალურად. მაგალითისათვის, ეუთოს როლი პოსტ კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებასა და რეაბილიტაციაში, ასევე კრიზისის გამწვავების თავიდან აცილებაში არის უდავოდ უპირველესი, ხოლო ნატოს მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები უშუალოდ მწვავე კონფლიქტების დროს არის შეუცვლელი, ერთობლივი ძალისხმევით კი პრობლემის ბევრად სწრაფი გადაჭრა არის შესაძლებელი.

ნატოსა და ეუთოს პარტნიორობა გამოირჩევა ასევე იმით, რომ ნატო იყო ერთ-ერთი დამფუძნებული ჰელსიკის პროცესისა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეუთოს პოლიტიკურ-სამხედრო მიმართულების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ეუთო ეხმარება დემოკრატიული ინსტიტუების მშენებლობაში იმ სახელმწიფოებს, რომლებიც, უმეტესად, ესწრაფვიან ნატოს წევრობისაკენ. შესაბამისად, ამ ორი ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობა არის საწინდარი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნატოს ახალი სტრატეგიისათვის მომზადებულ ანალიზსა და რეკომენდაციებში არის აღნიშნული, 2020 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში განსაკუთრებული როლი უნდა ეკავოს პარტნიორობის გაზრდას, რასაც ისინი უწოდებენ პარტნიორობის ახალ ერას. მას ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ნატოს ყოველდღიურ საქმიანობაში, ამისათვის კი, უფრო უნდა გააღრმავოს ურთიერთობა უკვე არსებულ პარტნიორებთან და დაამყაროს ახალი ურთიერთობები სხვა აქტორებთან. უფრო მეტიც, ექსპერტთა რეკომენდაციებსა და ანალიზში ასევე აღნიშნულია, რომ ნატომ უნდა შეინარჩუნოს ღია კარის პოლიტიკა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების,

საქართველოსა და უკრაინის მიერ გამოთქმული სურვილი და პროცესი ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისათვის უფრო უნდა განვითარდეს.[56]

დასკვნა

ასიმეტრიულ საფრთხეების ცნება არის მრავლისმეტყველი, თუმცა, დღეს მას იყენებენ, ძირითადად, მეოთხე თაობის ომის დასახასიათებლად. კითხავზე თუ რას წარმოადგენენ ასიმეტრიული საფრთხეები, პასუხი დამოკიდებული არის იმაზე, თუ რას მოვიაზრებთ ასიმეტრიაში. დღეს, ყველაზე უფრო ხშირად, მასში გულისხმობენ განსხვავებული ტაქტიკისა და წარმოშობის ძალების დაპირისპირებას, იქნება ეს სახელმწიფო არასახელმსიფოებრივი აქტორის წინააღმდეგ, კონვენციური-არაკონვენციურის თუ სხვა. თუმცა, მათი საერთო მახასიათებელი არის ის, რომ აღნიშნული ტაქტიკები საკმაოდ ბუნოვანია და ძირითადად იყენებენ ხოლმე სუსტი აქტორები მოწინააღმდეგის უპირატესობის დასაბალანსებლად.

მათგან ყველაზე საგულისხმო არის ტერორისტული შეტევები და კიბერ თავდასხმები. ისინი გარდა იმისა, რომ გამოირჩევიან ასიმეტრიულობით, ბუნდოვანებითა და არაპროგნოზირებადობით, ასევე გასხვავებულ საპასუხო ტაქტიკას მოითხოვენ საერთაშორისო აქტორების მხრიდან. დღეს არასახელმწიფოებრივი აქტორების ზრდასთან ერთად გეომეტრიული სიხშირით იზრდება ასიმეტრიული საფრთხეების რიცხვიც და ამიტომ, მათთან ბრძოლა უნდა გახდეს უპირატესი უსაფრთხოების ორგაზაციებისთვის.

თუმცა, აღნიშნული ორგანიზაციები და სახელმწიფოები ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის კონტექსტში აწყდებიან მრავალ წინააღმდეგობას, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი აქამდე არსებული ნორმები და შეთანხმებები ნაკლებად მოიცავდა ამგვარი საფრთხეებს. სწორედ

[56] The North Atlantic Treaty Organization, „Nato 2020: Assured Security; Dynamic Engagement- Analysis and Recommendations of the Group of Experts on a New Strategic Concept for Nato“, May 17, 2010. (Accessed June 5, 2020), P.1. https://www.nato.int/strategic-concept/expertsreport.pdf

ამიტომ, საერთაშორისო სამართალიც ნაკლებ შეეხება კიბერ სივრცის განზომილებას და არასახელმწიფოებრივ აქტორებს.

გარდა ამისა, კონვენციური ძალები მათ წინაშე არაა ისეთი ეფექტიანი, როგორც ეს გახლდათ უწინ და შესაბამისად, სახელმწიფოს ძლიერება აღარ განისაღვრება მატერიალური რესურსების უხვი რაოდენობით, არამედ იგი გახდა უფრო კომპლექსური ცნება და აერთიანებს კონვენციურ ძალებს, ტექნოლოგიებსა და სხვ.

სახელმწიფოებითვის, ასევე, გამოწვევად იქცა ასიმეტრიულ ძალებთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება. უდავოა, მათ აღსაკვეთად, უპირველესად, საჭირო არის ადეკვატური და სწორი კომუნიკაცია სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ უწყებებს შორის.

აღნიშნულ საკითხთან ერთად, მნიშვნელოვანია ორგანიზაციების შიგნით არსებული გამოწვევებიც, იქნება ეს ნდომის ნაკლებობა წევრ სახელმწიფოებს შორის, ბიუჯეტის განაწილების პრობლემა თუ სხვა. სწორედ ამიტომ, 2020 წლის COVID-19-ის პანდემიის პროცესში, და მას შემდეგაც, მათი სტრატეგიები უნდა იქნას მორგებული პირველ რიგში იმაზე, რომ ევროპა არ დანაწევრდეს და ულტრა მემარცხენე ძალებმა კვლავ არ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის შეტევები ევროპული კავშირის მიმართ.

მიუხედავად ეუთოსა და ნატოს ხელთ არსებული მრავალი ბერკეტისა, იქნება ეს მრავალი პროექტისა თუ მისიების იმპლემენტაცია ასიმეტრიული საფრთხეების აღსაკვეთად, გამოცდილებამ ცხადყო, რომ, იმისათვის, რათა მათ შესძლონ აღნიშნულ საფრთხეებთან გამკლავება, ისინი უნდა ტრანსფორმირდნენ ახალი გამოწვევების შესაბამისად და უფრო გააღრმავონ პარტნიორობა და ინფორმაციის ურთიერთ გაცვლა. ისტორიამ ასევე დაგვანახა, რომ ამიერიდან მათი სტრატეგიები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონვენციური ძალების მოქმედებებით და აუცლებელია საფრთხეებისადმი კომპლექსური მიდგომა.

ზემოთ აღნიშნულმა პანდემიამ აჩვენა საზოგადოებას, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოების უსაფრთხოება გასცდა ერთი ქვეყნის საზღვრებს და გახდა საერთო ინტერესი ყველასთვის. საყოველთაოდ ცნობილი აქსიომა, რომ ერთ ქვეყანაში პეპლის აფრენა ქარიშხალს იწვევს მეორეში არავისთვის იყო სადავო, მაგრამ, დღეს არსებულმა ვითარებამ ამაში კიდევ უფრო დაარწმუნა ყველა, რადგან, მოგეხსენებათ, ჩინეთში დაწყებულმა კრიზისმა „ქარიშხალი" გამოიწვია დედამიწის მეორე კუთხეში და ევროპა დღესაც ებრძვის მას.

თუმცა, ყველაფერს მედალივით ორი მხარე აქვს. აღნიშნული პანდემიის ასეთი მასშტაბებით გავრცელების გამო, საზოგადოების ერთი ნაწილი შეიძლება დარწმუნდა საფრთხეების გლობალურობასა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაზრდის საჭიროებაზე, რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მეორე ნაწილმა ეს ყველაფერი, სწორედ, გლობალიზაციას და გახსნილ საზღვრებს დააბრალოს. ეს საბაბს მისცემს ევროპის ისედაც მოძლიერებულ მემარცხენე ძალებს ახალი პროტესტისათვის და ამ ვითარების ფონზე, ეუთოსა და ნატოს უპირველესი ამოცანა იქნება ევროპის ერთიანობის შენარჩუნება, საფრთხეებისადმი სწრაფი რეაგირება და ადეკვატური რეორგანიზაცია.

ხოლო, რაც შეეხება კიბერ სივრცეს, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო რთული არის თავდამსხმელთა საპასუხო ნაბიჯების შემუშავება. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპაში, განსაკუთრებით, მაღალი არის ტექნოლოგიების როლი ადამიანთა ყოველღიურ ცხოვრებაში, საკმაოდ რთული გახლავთ მათ მიმართ რაიმე სახის არა თუ ამკრზალავი, არამედ შემზღუდავი ზომების დაწესებაც კი. ეს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პოლიტიკურად წამგებიან ნაბიჯს წარმოადგენს და ამის არაერთი მაგალითი არსებობს როგორც დიდ ბრიტანეტში ასევე ამერიკაშიც. 9/11-ის ტრაგიკული თავდასხმის შემდეგაც კი სახელმწიფოს მიერ მიღებული კონტრტერორისტული ზომები საზოგადოებამ აღიქვა თავისუფლებისა და დემოკრატიული პრონციპების შეზღუდვად.

ანალოგიურად, ევროპაში საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დგანან ნატოცა და ეუთოც ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. მათ უნდა უზრუნველყონ ევროპის უსაფრთხოება ისე, რომ არ იქნას დარღვეული დემოკრატიული უფლებები, თუმცა, როგორც ამერიკის არმიის გენერალმა და 34-ე პრეზიდენტმა დუაიტ დეივიდ ეიზენჰაუერმა აღნიშნა: "თუ გსურთ სრული უსაფრთხოება, მიბრძანდით ციხეში. იქ თქვენ გამოგკვებავენ, ჩაგაცმევენ, გაგიწევენ სამედიცინო დახმარებას. ერთადერთი რის ნაკლებებობაც გექმენათ ესაა თავისუფლება." ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ თავისუფლება და სრული უსაფრთხოება ერთმანეთთან კორელაციაში ვერ მოდიან. მაგრამ, როდესაც მან ეს სიტყვები აღნიშნა, ცივი ომის პერიოდში და ასევე ამდენი დამანგრეველი ომის შემდეგ, შესაძლოა უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა საზოგადოებაში, ვიდრე თავისუფლება, მაგრამ დღეს საზოგადოებისათვის ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია და საერთასორისო ორგანიზაციების გამოწვევაც, სწორედ, იმაში მდგომარეობს, რომ არცერთი მათგანი არ შეუზღუდონ მოქალაქეებს. ეუთომ და ნატომაც უნდა დაამტკიცონ პრაქტიკული მიღწევებით, რომ, უსაფრთხოება სულაც არ ნიშნავს თავისუფლების შეზღუდვას და ასიმეტრიულ საფრთხეებთან გამკლავება არის მათთვის ერთგვარი გამოცდა და როგორც ჯერარდ ფორდმა აღნიშნა, მართლაც, ისტორია განსჯის თუ როგორ გაუმკლავდებიან ამას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განსერი ჰელმუტ ვ, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული, *რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?* , თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფორდი, 2018.
2. გოლეთიანი ადელი, *ადამიანის უფლებები, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019.
3. მაისაია ვახტანგი და გუგული მაღრაძე. *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი საფრთხეების“ თეორია: მითი და რეალობა- რეგიონული და გლობალური ასპექტები.* თბილისი: უნივერსალი, 2017.
4. სვანაძე ვლადიმერ. *კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები.* თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2015.
5. სვანაძე ვლადიმერ და ანდრია გოცირიძე. *კიბერ თავდაცვა: კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები.* თბილისი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-სსიპ კიბერსუსაფრთხოების ბიურო, 2015.
6. ფირცხალაშვილი ანა. *ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე.* თბილისი: საკონსტუტიციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა 1, 2018, გვ. 43-53.
7. Areguin-Toft Ivan. *How The Weak Win Wars: A Theory of Asymmetric Conflict.* New York: Cambridge University Press, 2005.

8. Areguin-Toft Ivan, "Contemporary Asymmetric Conflict Theory in Historical Perspective", in: *Terrorism and Political Violence,* Boston: Boston University, 2012. Pp 635-657.
9. Buffaloe David. *Defining Asymmetric Warfare.* Arlington,Virjinia: The Association of the United States Army, 2006.
10. Benvenisti Eyal, "The Law on Asymmetric Warfare", in: *Looking to the Future: Essays on International Law in Honor of W. Michael Reisman,* eds. Mahnoush H. Arsanjani, Jacob Katz Cogan, Robert D. Sloane, Siegfried Wiessner, Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2010.
11. Daren Bowyer, "The Moral Dimension of Asymmetrical Warfare: Accountability, Culpability and Military Effectiveness", in *The Moral Dimension of Asymmetrical Warfare: counter-terrorism, Democratic Values and Military Ethics*. Edited by Th. A. van. Baarda and D.E.M. Verweij, 135-167. Leiden: Martinus Nijhoff publisher, 2009.
12. Dean Jonathan, "OSCE and NATO: Complementary or Competitive Security Providers for Europe?", In: IFSH (ed.), OSCE Yearbook 1999, Baden-Baden 2000, pp. 429-434.
13. Dipert Randall R. *The Ethics of Cyberwarfare,* in: Journal of Military Ethics, New York: State University of New York at Buffalo, 2010.
14. Gilpin Robert, *War and Change in World Politics*, London, New York, New Rochelle, Melbourne, Sydney: Cambridge University Press, 1983.
15. Organization for security and co-operation in Europe , *"The OSCE and contemporary security challenges: A collection of essays*," Mission to Serbia, 2016.
16. Organization for Security and Co-operation in Europe, "DECISION No. 1063 - OSCE CONSOLIDATED FRAMEWORK FOR THE FIGHT AGAINST TERRORISM", Permanent Council, December 7, 2012.
17. Roberts Adam, "Lives and Statistics: Are 90% of War Victims Civilians?," Journal *Survival*, vol. 52. No.3. June-July, 2010, pp.115-136.

18. Spinello Richard A. *Cyberethics: Morality and Law in Cyberspace,* Burlington: Jones & Barlett Learning, 2017.
19. The North Atlantic Treaty Organization, *Active Engagement, Modern Defence- Strategic Concept for the Defence and Security of the Members of the North Atlantic Treaty Organization*, Lisbon, 2010.
20. The North Atlantic Treaty Organization, „NATO 2020: Assured Security; Dynamic Engagement- Analysis and Recommendations of the Group of Experts on a New Strategic Concept for NATO“, May 17, 2010.
21. Yost David S. *NATO and International Organizations,* Rome: NATO Defense College, Research Division, 2007.

ინტერნეტ რესურსები:

22. სვანი კახა, „ომის ეთიკა“, 18 ნოემბერი, 2014 (წყაროს გამოყენების თარიღი: 7 მაისი, 2020). https://kaxasvani.wordpress.com/2014/11/18/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/
23. ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი, *“ასიმეტრიული ომი“,* 5/05/2015. https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/
24. Burns Nicholas and Douglas Lute, “NATO at Seventy: An Alliance in Crisis”, *Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School,*

February 2019, https://www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis

25. Dean Jonathan, "OSCE and NATO: Complementary or Competitive Security Providers for Europe?", In: IFSH (ed.), OSCE Yearbook 1999, Baden-Baden 2000, pp. 429-434. https://ifsh.de/file-CORE/documents/yearbook/english/99/Dean.pdf
26. EUROPOL, *European Union Terrorism Situation and Trend Report 2019,* (European Union Agency for Law Enforcement Cooperation, 2019). https://www.europol.europa.eu/activities-services/main-reports/terrorism-situation-and-trend-report-2019-te-sat
27. Gloag David, "Asymmetric Threat: Definition & Characteristics." Study.com, 27 April 2017, study.com/academy/lesson/asymmetric-threat-definition-characteristics.html
28. International Military Staff, "NATO's military concept for defence against terrorism", *The North Atlantic Treaty Organization,* August 19, 2016, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_69482.htm
29. Oxford Learner's Dictionaries https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/threat?q=threat
30. Phillips Andrew, „The Asymmetric Nature of Cyber Warfare", The U.S. Naval Institute, 14/10/2012. https://news.usni.org/2012/10/14/asymmetric-nature-cyber-warfare
31. Rubin, Michael, „Asymmetrical Threat Concept and its Reflections on International Security", Strategic Research and Study Center, 31.05.2007. https://www.meforum.org/1696/asymmetrical-threat-concept-and-its-reflections#_ftn21
32. Rublovskis Raimonds, "The Challenges of OSCE within Global Security Environment of the 21st Century", *Latvian Institute for International Affairs,* June 25, 2013. https://www.lai.lv/viedokli/the-challenges-of-osce-within-global-security-environment-of-the-21st-century-295
33. Spencer Oliver, „Time for a new OSCE Strategy?", Organization for Security and Co-operation, July 7, 2015. https://www.osce.org/magazine/171786

34. The North Atlantic Treaty Organization, “Countering terrorism”, December 10, 2019. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm
35. The North Atlantic Treaty Organization, „Cyber defence“, March 17, 2020. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_78170.htm
36. The North Atlantic Treaty Organization, “Relations with the OSCE”, March 19, 2020. (წყაროს გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2020). https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49911.htm#:~:text=NATO%20and%20the%20OSCE%20cooperate,the%20Women%2C%20Peace%20and%20Security